სახალხო გაზეთი

№ 920 კვირა, 16 ივნისი 1913 წ. № 920

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

დღეს, 16 ივნისს, წმ. ნიკოლოზის ვერის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

ეფროსიმე ქაიხოსროს ასულის კლდიაშვილისა,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **განსვენებულის შვილები.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი წირვის შემდეგ. 369.

15 ივნისს, დილის 5 საათზე, გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ

ივანე გრიგორის ძე მჭედლიშვილი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობრებს მეუღლე მისი **ანნა დიმიტრის ასული,** შვილები: **ნინო ჩიკვაიძისა, ბარბარე კანტიძისა, და ივანე მჭედლიშვილი,** სიძე **ანტონ კანტიძე** და ცოლის ძმა **გრიგოლ დიმიტრის ძე ელიზბაროვი.** გამოსვენება 18 ივნისს, დილის 9 საათზე, საკუთარ სახლიდან კათოლიკეთა ქუჩა აბას-აბათის მისახვევი № 12, პანაშვიდი ყოველ დღე სადამოს 8 საათზე. 370

ახალი კლუბი
(საზაფხულო თეატრი)
კვირას, 16 ივნისს 1913 წ. საღამოს 5 საათიდან 9 საათამდე

საბავშო საღამო

9 საათიდან დაიწყება საოჯახო საღამო. საზაფხულო თეატრის სცენაზე, ქართველ მსახიობთა ამხანაგობისაგან, **ვ. აბაშიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება: 1. „კიდევ ერთი მსხვერპლი“ მე-3-ე მოქ. სუდუკიანცის პიესიდან. 2. „საბედისწერო დებიუტი“ ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი. მონაწილეობას იღებენ: ქ. ტ. აბაშიძე, ბ.ბ. ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, კ. მესხი და დ. მგალობლიშვილი. წარმოდგენის გათავების შემდეგ გაიმართება საკონცერტო განყოფილება მილანის თეატრის **„ლა სკალას“** გამოჩენილ მსახიობ ქალის ქ-ნ **ტელლი მარტესი.**

თეატრში შესვლის ფასი 20 კაპ. 1 მანეთამდე. კლუბში შესვლისთვის სტუმრები იხდიან მამაკაცები 50 კაპ., ქალები და სტუმრები 25 კ. 1234

ЦИРКЪ БР. АЗГАРЦЪ

ძმ. აზგარცების ცირკი

მიხეილის პროსპ., № 131, ,,აპოლლოს'' თეატრის გვერდ.

კვირას, 16 ივნისს წარმოდგენილი იქნება დიდი ბრწყინვალე წარმოდგენა.

ბენეფისი ძმ. აზგარცების ცირკის დირექციისა,

რომელნიც წოდებულნი არიან

,,საკვირველ ადამიანებად''

დღეს პირველად, მხოლოდ თავის საბენეფისოდ, ბენეფიციანტები აჩვენებენ მე-XX საუკუნის საკვირველებას: **გუმსტა ბუმსტე.** დირექციამ მოიწვია ახალი მსახიობები საგასტროლოდ და ამით უნდა ასიამოვნოს ხალხს. აგრეთვე დღეს პირველად გამოვა გმირი **პოტდუბნი.** დღეს ბენეფიციანტები თავის საბენეფისოდ შეასრულებენ ძლიერ საინტერესო და სხვა და სხვაფეროვან პროგრამას, რომელიც 20 ნომრებისაგან შესდგება. აგრეთვე გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა, რომელიც დაიწყება შუადღის 2 საათზე და შესვლისათვის ფასი ძლიერ დაკლებული იქნება. 371.



პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, [illegible] ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, [illegible] იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც [illegible]. მხოლოდ ძმ. ესიკოვების ცირკს შეუძლიან იმ [illegible], რაც სხვებს არას დროს არ შეეძლებათ!

კვირას, 16 ივნისს, 1913 წ.

წარმოდგენილი იქნება ორი არაჩვეულებრივი ამ სეზონისათვის ბრწყინვალე

სადღესასწაულო წარმოდგენა.

დილით **დაკლებულ ფასებში წარმოდგენა ბავშთათვის!** საღამოთი **ჯერ არ ყოფილი საზეიმო სანახაობა!**

საღამოთი, გარდა მთელი ანსამბლის მონაწილეობის გამოუკლებლად, კიდევ **სამი** გასტროლი: საქვეყნო ატრაქციისა და ორი ახალი დებიუტი. პროგრამა ბ. დირექტორის მიერ არის შედგენილი. მეორე გასტროლი ცნობილ გერმანელ მოთამაშის **ადოლფისა,** რომელსაც ელვის კაცს უწოდებენ. **სულიტის** გასტროლი, ჰაეროპლანით გაფრენა; უკანასკნელი გასტროლი ტფილისის საზოგადოების საყვარელ **ბულგარელ ქალის თამარისა.** დღეს აგრეთვე მონაწილეობას იღებს ყოველდღიურ საკითხებზე მოლაპარაკე ორი ნჯი ძმები **ხელლ-კაზო.** მეორე გასტროლი დიდი კარდებალეტისა; ბალეტი შეთხზულია პრიმა-ბალერინის ლამაზი ქ-ნ ალექსის მიერ.

დასაწყ. სად. 8 ს. დირექცია **ძმ. ესიკოვსკები.**

364 გამგე **ლ. მ. ხუნდაძე.**

ვაჭარ-მრეწველობის მოსამსახურეთა კლუბში
(ყოფილი ,,მიმოზას'' ბაღი, მიხეილის ქ № 143)

კვირას, 16 ივნისს, ზუბალაშვილის სახალხო სახლ. არსებულ ქართ. წარმ. მმართვ. წრის სასარგებლოდ შესდგება

საინტერესო საღამო

I. დამსახ. მსახ. **ელ. ჩერქეზიშვილის** მონაწილეობით **წარმოდგენილი იქნება:**

მათიკო მესამე მოქმედება ავქ. ცაგარლისა.

II. სინემატოგრაფიული სურათები

III. პტიშვო, ფოსტა, ყვავილების ფანჩატური, კოშკები და სხვა მრავალი გასართობი. ბუფეტი. შესავალი ფასი 20 კაპ.

1160 საღამოს დიასახლისი **ეფ. ს. მესხი.**

ძმ. ზუბალაშვილების სახელობის ქალაქის სახალხო სახლთან

არსებული ქართულ სახალხო წარმოდგ. მმართველი წრის გამგეობა ამით აცხადებს, რომ წრის წევრთა **საზოგადო კრება,** რომელიც 9 ივნისს არ მოხერხდა, დანიშნულია 18 ივნისს საღამოს 6 საათზე იქვე—ზუბალაშვილის სახალხო თეატრის შენობაში. განსახილველია შემდეგი კითხვები:

1) გამგეობის ანგარიში ჩამავალ წლისა, 2) გამგეობის მოხსენება წესდების ზოგიერთ მუხლების ცვლილების შესახებ, 3) გამგეობის მოხსენება ქართ. სახ. წარმოდგენების უკეთესად მოწყობის შესახებ, 4) ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ 1913/14 წ., ახალი წევრების დამტკიცება, არჩევნები ახალი გამგეობის წევრებისა და სარევიზიო კომისიისა.

ვისაც სურს **1912/3 წ. ანგარიშების მიღება,** ვთხოვთ ამისათვის მობრძანდნენ წრის კანტორაში (მიხეილის ქუჩა, სახ. № 102 ბინ. 8) ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. (1160)

ტფილისის სავაჭრო ბანკის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ფინანსთა მინისტრის მიერ 30 ნოემბერს 1912 წ. დამტკიცებულისა და ,მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულში'' 20 დეკემბერს 1912 წ. გამოქვეყნებულ წესდების ძალით, ამ წლის **18 ივნისიდან დაიწყებს მოქმედებას**

ტფილისის სავაჭრო ბანკი

და აწარმოებს წესდებით ნებადართულს ყოველ ვარ ოპერაციას.

ბანკი დროებით მოთავსებულია სერგიევის ქუჩა № 8. 1355

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2 3 ს **მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12 — ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. ექ.-ქალ. **ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე $11^{1/2}$—$2^{1/2}$. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10 —1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და საშოს სნეულებანი	ექიმი ქალი **მერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—[illegible] **სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე [illegible]
ბავშვთა სნეულ.	ექ.-ქალ. **ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. [illegible]—$1^{1/}$ **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—1 **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12 **ფონდოვი გ ს.** ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე $12^{1/2}$—$1^{1/2}$. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე $1^{1/2}$—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^{1/2}$.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე $11^{1/2}$—$12^{1/2}$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, თაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 0 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **,,606''** და **,,914'' წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. ზ. ღავათიანი საფასურით. წ. 1035

Общество
Кахетинскихъ садовладѣльцевъ
„Кахетія“
въ Тифлисѣ.
№

Заявленъ М-ву Торг. и Пром.

УСТАВЪ ОБЩЕСТВА УТВЕРЖДЕНЪ ВЪ 1895 г.

რადგანაც ამ უკანასკნელ დროს

მეტად გახშირდა ჩვენი ფირმის ეტიკეტის ყალბი მიბაძულებანი,

,,კახეთი''-ს საზოგადოება

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ასეთ საქმის ჩამდენთ სასტიკად გა მოეკიდება სასამართლოს წესით. 1054

მიიღება ხელის მოწერა 1913 წ. ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე.

(წელიწადი მეცხრე).

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ო რ ი გ ა მ ო ც ე მ ა:

მცირე წლოვანთათვის	მოზრდილთათვის
24 წიგნი.	12 წიგნი.

ეღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მ., საზღვარ-გარედ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ **საჩუქრად ამერიკელ მწერალ ქალის პარიეტ ბიჩარ სტოუს რომანს ზანგთა განთავისუფლების დროიდან ,,ბიძია თომას ქოხი'',** სრულ თარგმანს. წიგნში იქნება 40-ზე მეტი სურათი და ჩართული ექნება ავტორის სურათი და ბიოგრაფია. თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკისრა **ილია ნაკაშიძემ.** ჟურნალი ,,ნაკადული'' მცირე წლოვან და მოზრდილ. 1910 წ. ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად. **ხელის მოწერა** შეიძლება **ტფილისში**—,,ნაკადულის'' რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინის პრ. 8, და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, სასახლის ქუჩა.

1149 რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი **თ-დ პავლე თუმანიშვილი.**

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს სად. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 324

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

სამკურნალო ტალახი

,,ახტალა''

(ტფილისის გუბერნ., სიღნაღის მაზრა, **სოფ. გურჯაანში**).
სეზონი იწყება 15 ივნისს, თავდება 20 აგვისტოს.

ჰკურნავს ქარებისა, კანისა (ეგზემა, ქეცი და სხ.), ნერვებისა და სხვა ავადმყოფობას.

იქვე შეიძლება შოვნა ბინებისა, მოწყობილობილობით. ფასი მთელი სეზონით სულზე 2 მან., ბავშვები უფასოდ. სოფელში არის **ქსენონი და ექიმი.**

ცნობებისათვის მიმართეთ: (წერილობით ან პირადათ): ტფილისში, ველიკოკნიაზის ქ., № 15, **გენერ. თ-დ მაყაშვილს;** ადგილობრივ კი ტალახების **გამგეს.** 1353

ახალი კლუბი

მუდმივ ყოველ კვირეულ გასართობთა წეს-რიგი:

სამშაბათობით და შაბათობით

დაუკრავს „ახალ კლუბის“ მიერ მოწყობილი

არტისტებისაგან შემდგარი

სიმფონიური ორკესტრი

ვ. ი. ზელიონის ლოტბარობით

სოლისტების მონაწილეობით: სკრიპკა—თავისუფალი ხელოვანი, კუსევეცკის ორკესტრის კონცერტ-მეისტერი **ბ. ი. კრეინინი,** ვიოლონჩელისტი—**ე. ნ. კოპელნიცკი** და გრაფ შერემეტიევის ორკესტრის არფა-არფისტი **ი. ა. პოლომარენკო.**

სამშაბათობით იქნება სიმფონიური კრებული

და შაბათობით ჩვეულებრივი კონცერტი.

ორშაბათობით და **ოთხშაბათობით** საზაფხულო თეატრში გაიმართება

კინემატოგრაფის სეანსები და სიმფონიურ ორკესტრის სამუსიკო განყოფილება.

მცირე ორკესტრი ბაღში დაუკრავს 11 საათიდან ღამის 2 საათამდე.

პარასკეობით:

კინემატოგრაფის სეანსები და **სიმფონიურ ორკესტრის**

სამი განყოფილება ღამის 12 საათამდე. 12 საათის შემდეგ კლუბის დაკეტვამდე **დაუკრავს საზანდარი.**

ხუთშაბათობით.

საოჯახო საღამო-წარმოდგენები, ცეკვა და სამხედრო ორკესტრი.

კვირაობით. საბავშვო საღამოებს გაიმართება (სადამ. 5—9 საათამდე).

სიმფონიურ და ჩვეულებრივ ორკესტრების დროს მუსიკის დაკვრის დასაწყისი სწორედ საღამოს 9 ს, კინემატოგრაფის სეანსების დასაწყისი საღამოს 8 ნახევარ საათზე. 1225

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა

კრების საბჭო

იწვევს:

1) ჭიათურის საქალაქო სასწავლებლის **ინსპექტორს,** ჯამაგირი 1800 მან. წლიურად. გარდა ამისა, ბინა, განათება და გათბობა.

2) სასოფლო სკოლებისათვის **სამ მასწავლებელს,** ჯამაგირი 600 მანეთი თითოს წლიურად.

ვისაც ამ თანამდებობის დაჭერა ჰსურს, განცხადება და ყველა საჭირო საბუთი უნდა წარადგინოს საბჭოში ქ. ქუთაისში **1913 წ. 13 ივნისის დამლევამდე.** 1356

20 ივნისიდან 17 აგვისტომდე

სოფელ დიდ-კარაკლისში, (ერევნის გუბერნია),

გაიხსნება რძის მრეწველობისა და მესაქონლეობის უფასო **საზაფხულო კურსები**

მიწათ-მოქმედების დეპარტამენტისა. ცნობებისათვის მიმართეთ ტფილისში **ა. ა. კალანტარს,** და სოფ. დიდ-კარაკლისში კურსების გამგეს **ა. ზ. თამამშევს.** 262

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

ისყიდება იაკობ გოგებაშვილის წიგნები:

აბპინძის ომი.	ფასი 7 კ.
ბურჯი ეროვნებისა	„ 20 „
იავნანამ რა ჰქმნა?	„ 5 „
თავდადებული ქართველნი	„ 7 „
მოსავლის მცველნი	„ 20 „
მეფე ერეკლე და ინგილო ქალი	„ 5 „
რანი ვიყავით გუშინ?	„ 20 „
რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები	„ 1 მ.
საარაკო თავ-გადასავალი ტახტის მემკვიდრისა	„ 10 „
სხივი წარსულისა	„ 5 „
თავდადებული ქართველი ეჯიბი	„ 5 „
საარაკო თავ-გადას. ტახტის მემკვიდრისა	„ 10 „
Мотодика къ русскому Слову	„ 40 „
Разборъ учебныхъ руководствъ по русскому языку	„ 50 „
Нормальное письмо	„ 20 „
Правда о Тифлисѣ	„ 20 „
О груз. и русскомъ алфавитахъ	„ 20 „
Какъ улучшить кавк. народ шк.	„ 20 „
Къ вопросу о мингрель. школѣ	„ 20 „
Государственный языкъ.	„ 30 „
Очеркъ сравнит грамматики груз. и русск. языковъ	„ 20 „
Къ вопросу о поднятiи уровня образованiя среди грузинскаго дворянства.	„ 50 „
ახალი წიგნები:	
საყმაწვილო მოთხრ. ე. გაბაშვილისა	„ 30 „
იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად.	„ 75 „
ილია ჭყონიის ნაწერები	„ 1 მ.

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217.

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

ახპისხოვი. ყურის, ცხვირის და ყელის ავადმ., ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

არღუთინსკი, ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

ა. ხუდაბაშევი. ბავშვ. შინაგანი ავადმ., ყოველ დღე 2—3 ს.

ბოჟოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ. შაბ. და კვირ. 4—5 ს.

გ. ნ. გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

ბალდოევი. კბილ. ყ.-დღე 3—5 ს

ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ 1—2 ს.

ექ. ქალ. იოსელიანი. ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

კალამკაროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ლიმონი. კბილ. ექიმი. ყ.-დღე 11—1 ს.

ხაიდაროვი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ნოვიცკი. ქალური და საბებიო ავადმ. ყოვ.-დღე 1—2 ს.

ტ. ი. რუდენკო. შინაგან სნეულ. კონსულტაცი. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

ა ხონდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

ჩუდნოვსკი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა; 11½—12½ საათ.

შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

სუროვცოვი. შინაგანი ბავშვ. 3—4 ს.

სათვალეების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

ექიმი ე. ი. მინასიანცი იღებს აბასთუმანში. შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ჭლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 6—7 ს. მისამართ.: აბასთუმანი ტერ-მარქაროვი. აგარაკი.

ვასწავლი

ქართულ „სიმღერა-გალობას“ და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს გუნდისთვის. მუდმივ გუნდის მიწვევა ეკლესიებში, კონცერტებზედ, პირობის გაგება, მოლაპარაკება, მიღება და ჩაწერა **მიხეილ კავსაძესთან** კვირაობით, ოთხშაბ. და შაბათობ. საღ. 5—7 ს-მდე. ავჭალის ქუჩა № 29. ვიღებ და ვასწავლი **მუშა-ხალხსაც.** ვიწვევ მგალობლებს **ანჩისხატის საკრებულო ტაძარში,** სადაც კვირა-უქმეებში მუდმივ გალობს გუნდი. 349.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—1½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—1½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“-ით 1053

ექიმი ივ. გომართელი პირველი ივნისიდან პირველ ენკენისთვემდე ავადმყოფებს მიიღებს **ბორჯომში.** აგარაკი მირზოევისა. 307

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.: ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელიზაბედ ქ № 94. კიროჩნი ქუჩის ახლო, ფოსტის განყოფ. პირდაპირ. 102

დღეს, 16 ივნისს, საღამოს 5 საათ.

გაიმართება

ბესარ. ქებურიას ფრენა

დიდუბეში, საჯირითო მოედნის გვერდზე. 1353

ბალკანეთის ვაი-უშველებელი

ბალკანეთის უკანასკნელი ომის მონაწილე, პატარა სახელმწიფოებმა მთელი ქვეყანა გააკვირვეს თვისი სამხედრო ნიჭითა და მომზადებით. თრაკიის ველები, კუმანოვის მიდამო და თესალიის ველი ერთა ბრძოლის საშინელ წიგნში მუდამ ამოუშლელი დარჩება. ამ მხრით უნაკლულო და მტკიცე იყო მოკავშირეთა ურთიერთობა. მაგრამ გათავდა ეს საშინელი სისხლისღვრაც. დადგა დრო, როდესაც ბრძოლის ველზე გამარჯვებულთ უნდა გამოეჩინათ პოლიტიკური სიმწიფე და შორსმჭვრეტელობა. და აი სწორედ ამ უკანასკნელ გამოცდაში ჩაიჭრნენ იგინი სამარცხვინოდ. გადაგდებულმა ძვალმა—დაპყრობილი ადგილების გაყოფამ—სამტროდ გადაჰკიდა იგინი ერთმანერთს. პირადი შემატების ანგარიშმა სრულიად დაჩრდილა ის დიდი მიზანი, რომლისთვისაც სლავიანებმა და ბერძნებმა თითქოს ძმურად გაუწოდეს ერთმანეთს ხელი. გუშინ ძმადგაფიცულნი დღეს გამალებით რაზმავენ ჯარს სისხლის უაზრო სადღრეგლად. რა მოხდა? რამ გამოიწვია მათი ასეთი დაბრმავება? საკავშირო ხელშეკრულებამ, რომელსაც არ შეეძლო ადრევე გაეთვალისწინებია ყველაფერი, რაც ომს მოჰყვა შედეგად. თურმე თვით მოკავშირენი არ ელოდნენ ისეთ უხვ ნადავლს, როგორიც მათ ომის ღმერთმა უწყალობა. ამიტომ საჭირო შეიქნა არსებულ ხელშეკრულებათა გადასინჯვა და შეცვლა. განსაკუთრებით გამწვავდა სერბია-ბულგარეთის დამოკიდებულება. მოგეხსენებათ, რომ მოკავშირეთა შორის სერბიამ ყველაზე ადრე და ყველაზე უფრო ბრწყინვალედ ასრულა თვისი მოვალეობა, რის შემდეგაც დახმარების ხელი გაუწოდა მოკავშირეთ—ბულგარეთსა და ჩერნოგორიას, თუმცა ხელშეკრულობა ამას არ ავალებდა. ამავე დროს, მიუხედავად ასეთი სამსახურისა, სერბია ყველაზე ნაკლებ მოგებული დარჩა: ევროპამ, ავსტრიის დაჟინებით, ხელი ააღებინა მას ადრიატიკის ზღვის სანაპიროებზე, რომლის შეძენაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა მისი ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის. ამიტომაც მან სამართლიანად მოითხოვა სამაგიერო, მოითხოვა სწორედ იმისგან, ვისაც მოულოდნელმა გარემოებამ ყველაზე მეტი არგუნა—სახელდობრ ბულგარეთისაგან. ამ უკანასკნელმა ყურიც არ ათხოვა თვისი მრამაგის სამართლიან მოთხოვნილებას და, თავის მხრით, კავშირის მოღალატეობა დასწამა სერბიას. გაღვივდა გულში ჩამარხული შოვინისტური გრძნობანი. მოძმეთა ჯარი ერთმანეთს მიესია. წაიბილწა პრინციპი სოლიდარობისა. ამ დროს გაისმა რუსეთის იმპერატორის ხმა, რომელმაც ავტორიტეტულად მოაგონა მოკინკლავეთ საერთო მიზანი. გადაკიდებულნი თითქოს გონს მოვიდნენ. მორჩილებით მიიღეს წინადადება, რომლის ძალითაც პეტერბურგში უნდა შეიკრიბნენ მოკავშირეთა პირველი-მინისტრები და დავა მორიგებით გადასწყვიტონ. წინადადება მიიღეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყოველ დღე ხდება მოსაზღვრე ჯართა შეტაკება, რაც იმის მომასწავებელია, რომ დიპლომატიასა და მთავარ-შტაბების შორის განხეთქილება არსებობს. ამიტომ, შესაძლებელია, პეტერბურგის კონფერენციაც ვერას გახდება და ახალი ომი ასტყდეს.

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერ. სააგენტო)

14 ივნისის სხდომა

თავმჯდომარეობს **როძიანკო.**

გრძელდება კამათი შესახებ იმ უკანონოებისა, რომელნიც ჩადენილი იყო მეოთხე სათათბ. არჩევნების დროს.

სკობელევი ამტკიცებს, რომ არჩევნების დროს ადმინისტრაციის მოქმედება გამოიხატა იმით, რომ კანონს ამახინჯებდნენ. არჩევნებმა დაგვიმტკიცა, რომ საყოველთაო საარჩევნო კანონის საჭიროება არა თუ მარტო დემოკრატიის ანდერძია, არამედ ამასვე მოითხოვს ელემენტარული პოლიტიკური პატიოსნება.

მღვდ. დროზდოვსკი უარყოფს იმ ბრალდებებს, რომელიც სამღვდელოებას დასდეს. იგი შედეგია ოპოზიციის შურისძიებისა.

მღვდ. კარპინსკი შეკითხვის წინააღმდეგია.

მღვდ. ნასილენკო. შეკითხვა იმიტომ შემოიტანეს, რომ სამღვდელოება არჩევნების დროს ინტენსიურად მოქმედებდა რუსთა ინტერესების დასაცველად.

ვეტჩინინი პროტესტს აცხადებს გერასიმოვის სიტყვების გამო, ვითომც შეკითხვათა კომისიამ ცალმხრივობით უარჰყო კ—დ. შეკითხვა.

როდიჩევი ყველამ კარგად იცის, რომ არჩევნებში მთავრობა დიდ მონაწილეობას იღებდა. ორატორს მოჰყავს ციტატები სამღვთო წერილიდან, რომლის მიხედვით სასულიერო წოდების კაცს არ შეუძლიან სამოქალაქო საქმეებში ჩარევა. წინადადებას აძლევს სათათბიროს, მიიღოს შეკითხვა.

მღვდ. რუდიჩი მადლობას უცხადებს მთავრობას და უკვირს, რატომ მიაჩნიათ პროგრესისტებს თავის თავი პროგრესის მონოპოლისტებად.

ლევაშოვი ამბობს, რომ კომისიამ განიხილა ადესის არჩევნების მასალა და უკანონო არა უპოვნია რა.

მღვდ. პოპოვი მე-2 ამოწმებს, რომ არჩევნები ვიატკის გუბერნიაში კანონიერი იყოს. ეპისკოპოსების მოწოდებებში არავითარი ძალდატანება არა ყოფილა.

კამათი მოისპო.

შეკითხვათა კომისიის თავმჯდომარე თხოულობს მიიღონ შეკითხვა, მხოლოდ იმ მუხლის გამოკლებით, რომელიც ადესას შეეხება.

მილიუკოვი მოაგონებს სათათბიროს, რომ იმ განყოფილებამ, რომელიც ადესის არჩევნების საბუთებს იხილავს, მხოლოდ ახლა-ხან დაასრულა მუშაობა. ნახევარმა არჩევნები კანონიერად სცნო, ნახევარმა კი—უკანონოდ. კერძოდ, რაც შეეხება ლევაშოვის არჩევას, უნდა მოგახსენოთ, რომ არამც თუ უკანონობა იყო ჩადენილი, არამედ უზრდელობაც.

ზამისლოვსკის აზრით, რადგანაც განყოფილებებს ჯერ დადგენილება არ გამოუტანიათ, შეკითხვას ვერ მივიღებთო. 125 ხმის უმეტესობით 76 წინააღმდეგ ის მუხლი, რომელიც ადესის არჩევნებს შეეხება, არის გამოკლებული.

შეკითხვა მიიღეს კომისიის რედაქციით დიდი ხმის უმეტესობით 49 ხმის წინააღმდეგ.

კოვალევსკი მხარს უჭერს კანონპროექტს სახალხო მასწავლებელთა საპენსიო თანხის დებულების შეცვლის შესახებ.

მინისტრის ამხანაგი **ტაუბე** აცხადებს, რომ მთავრობა იღებს თავის თავზე შესაფერ კანონ-პროექტის შემუშავებას. (ტაში მარჯვნით).

კოვალევსკი მოახსენებს საკანონმდებლო სურვილს ოქტომბრისტებისას, პროგრესისტებისას და მემარჯვენეებისას შესახებ საყოველთაო განათლებისა.

მინისტრის ამხანაგი ტაუბე აცხადებს, რომ სამინისტრომ უკვე შეიმუშავა საერთო პროექტი საყოველთაო განათლების შესახებ.

კოვალევსკი მოითხოვს, საკანონმდებლო განზრახვა გადაეცეს კომისიას.

ტიტოვი მოახსენებს ორ საკანონმდებლო განზრახვას შესახებ საშუალო სასწავლებლებისა, რომლის მიხედვითაც საშუალო სასწავლებლებს ნიადაგად უნდა დაედოს საჰუმანიტარო და საბუნებისმეტყველო სამეცნიერო საგნები.

მინისტრის ამხანაგი ტაუბე აცხადებს, რომ მთავრობას არ შეუძლიან თავის თავზე მიიღოს შესაფერი პროექტის შემუშავება.

ტიტოვი მოითხოვს პროექტის კომისიაში გადაცემას. პროექტი კომისიას გადაეცა. უკამათოდ საჩქაროდ მიღებულია 32 სხვა და სხვა კანონ-პროექტი.

სხვათა შორის კომისიამ წარმოუდგინა სათათბიროს მოხსენება, რომლითაც წინადადებას აძლევს, იმ 254,854 მან. რომელიც გადადებული იყო პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფთა შესანახად 1909 წ., მიიღონ მხოლოდ 181,361 მან რაც შეიქნება 73,493 მანათს, რომელიც ხარჯთ-აღრიცხვის ერთი პარაგრაფიდან მეორეში აყო გადატანილი, რითიც დაირღვა ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ არსებული დებულება, კომისია წინადადებას იძლევა, მიიღონ სათათბირომ ფორმულა, რომლითაც მინისტრთა საბჭოსი და შინაგან საქმეთა მინისტრის მოქმედება უკანონოდ უნდა იყოს ცნობილი.

შინაგ. საქმ. მინ. ამხანაგი ლიკოშინი ამბობს, რომ სამინისტრო აგრე უნდა მოქცეულიყო, რადგანაც

ოსკარ უაილდ

იგი იყო მხატვარი, ბრინჯაოს ჩამომსხმელი. ერთს საღამოს მისმა სულმა იგრძნო საშინელი წყურვილი: მას სწადდა შეექმნა ხელოვნური სახე სიხარულისა, რომელიც მხოლოდ ერთს წუთს გრძელდება. იგი ეძიებდა ბრინჯაოს სიხარულის ჩამოსასხმელად, მაგრამ უბედურებავ: ბრინჯაო ქვეყნიდგან ოდღაც საიდუმლოებით სულ გამქრალიყო, დარჩა მხოლოდ ერთად-ერთი ბრინჯაო და ისიც ძეგლი საუკუნო მწუხარებისა. ძეგლი იგი თვითონ მხატვარის ხელთქმნილებას წარმოადგენდა. სატრფო მისი სიკვდილით საუკუნოდ გადავიდა,—და მან მის საფლავზე აგო ძეგლი: სიმბოლო ადამიანის უსაზღვრო სიყვარულისა, რომელიც არ კვდება; სახე ადამიანის უშრეტი მწუხარებისა, რომელიც მარად არის. ასეთი იყო იგი ქმნილება. მაგრამ მხატვარმა არ შეიბრალა იგი: აიღო ძეგლი, ჩააგდო გახურებულს ქურაში, გაადნო ბრინჯაო,—და მწუხარების სტატუისაგან, რომელიც მარადის სცოცხლობს, ჩამოასხა ქანდაკი მხიარულებისა, რომელიც ერთს წუთს გრძელდება...

ამას მოგვითხრობს ერთი საუცხოვო არაკი, თქმული უაილდის მიერ,—და მგონია, მასში ავტორმა თავისი მხატვრული ბუნება გამოხატა, დიახ, უაილდ იყო ნამდვილი მხატვარი, რომელიც შემოქმედების წამს, თუ დასჭირდა, საკუთარს ქმნილებას ამსხვრევს, რომ შექმნას სხვა უფრო სრული ქმნილება; იგი იყო ცეცხლის მფრქვევი ხელოვანი, რომელიც მწუხარებას, თუ გინდ იგი უკვდავი იყოს, სიხარულს ანაცვლებს, თუ გინდ იგი მხოლოდ ერთს წუთს გრძელდებოდეს.

„ყოველი ქმნილება ხელოვნებისა —სწერდა იგი „დე პროფუნდის“,— აღსრულებაა წინასწარმეტყველებისა, რადგან ყოველი ქმნილება ხელოვნებისა აზრთა სახედ გარდაქმნაა; ყოველი კაცობრიული არსება უნდა იყოს აღსრულება წინასწარმეტყველებისა, რადგან ყოველი კაცობრიული არსება უნდა იყოს რაიმე იდეალის სახიერება ღმერთის ან ადამიანის აზრებში“... რის განხორციელებად მოევლინა მსოფლიოს უაილდ, და რა წინასწარმეტყველების აღსრულება იყო მისი ხელოვნური ქმნილება? აი ძალლიანი საგანი, რომლის განსახილავად არავინ დაიზარებს სიტყვის ფერადათ გაშლასა...

ა. სიმბოლიური სინამდვილე.

სიმბოლო ფრიად ღრმა და საგულისხმო მოვლენაა,—და ვინც მის იდუმალს აზრს მისწვდება, იგი ნახევრად მაინც ახდის ყოფას საიდუმლოების ზეწარს. აკვირდები მსოფლიოს და გიკვირს მისი უწყვეტი ცვალება: წარმოშობა და გაქრობა, გაფურჩქვნა და დაჭკნობა, სიცოცხლე და სიკვდილი,—აი რა იშლება ჩვენს თვალწინ ურიცხვო ხაზებში და მრავალს ფერებში. ცვალება იგი არ არის მექანიური, უბრალო მიდაგმოდაგება ქვეყნის ქაოტიურ ნაწილებისა. ამგვარი იქნებოდა იგი, თუ რომ მსოფლიო მარტოდ და მარტო მატერიალობით ისაზღვრებოდეს. და მართლაც, რა იქნებოდა ქვეყანა, რომ ყოველი მისი ნაწილი მხოლოდ ნივთიერებას წარმოადგენდეს? მათემატიკა და მეტი არაფერი! აქ ყველაფერი ერთხელ დ სამუდამოდ მოცემულია, აქ ყველაფერი იმ თავითვე განსაზღვრულია. არ არსებობს რაიმე „ახალი“, არ-ყოფილი: აქ ყოველი არსებულია და არამყოფადი. ის, რაც „ახლად“ გამოდის, ის უკვე არსებობდა, მხოლოდ ფარულად; და მის გამოჩენის შემდგომ ქვეყანას არაფერი მიმატებია. ყოველი მოვლენა აქ ან არითმეტიული ერთეულია, ან ალგებრაული ნიშანი. რით განირჩევა ასი ათისაგან? არარით: ასი იგივე ათია, მხოლოდ ათჯერ განმეორებული. ნივთიერებაც თავის შედგენილობით სრულიად ერთი და იგივეა: იგი იცვლება, მაგრამ ცვალება მისი განმეორებაა მხოლოდ: მიმოცვლა მისი ნაწილებისა დროის სხვა მომენტს და სივრცის სხვა ადგილს; და რაც უნდა იცვალოს იგი, არსებითად ახალს მაინც ვერ წარმოშობს.

მაშ, მსოფლიო არ უნდა იყოს მხოლოდ ნივთიერება და არც არის კიდეც. მისი ცვალება უბრალო ცვლილება კი არაა, არამედ ორგანიული „ვითარება“: ქმნა და გარდაქმნა. ყოველი ყვავილი, ერთხელ გაფურჩქნილი და საუკუნოდ დამჭკნარი, რაღაც ახალია, არ-ყოფილი, არ-არსებული. ყოველი მოვლენა „სახიერია“ და არა უბრალო მათემატიური ერთეული; ყოველი არსი „პიროვანია“ და არა უბრალო ალგებრაული ნიშანი. ერთიცა და მეორეც ინდივიდუალობაა, ერთხელ მოვლენილი და განუმეორებელი, სხვით გამოუყვანელი და სხვად დაუყვანელი. მათი მოვლინება ნაყოფია შემოქმედი აქტისა: მთელი მსოფლიო განუსაზღვრელი ორგანიული ზრდა-შემოქმედებაა.. ამ მხრივ აღებული, იგი „მყოფადია“ რომელიც იქმის სულ ახალსა და ახალს ქვეყანად. არსებული ქვეყანა კი, ლეიბნიცის სიტყვით, მხოლოდ ერთი შესაძლო ქვეყანათაგანია და მთელი მსოფლიო მარადი შესაძლოება, რომელიც შემოქმედ აქტში თავსა ჰყოფს დ ყოფას დებს. იგი შესაძლოება „ქმნადია“, რომელიც ნივთიერებაში სხეულს ისახავს: იგი სახიერდება და სახეს აძლევს ნივთიერებას. სანამ ჩამოისხმოდეს, იგი უხილავია, **უსხეულო სახე,** რომელიც ისწრაფვის იქცეს სინამდვილედ, გახდეს ხილულ-პიროვანი, და ეს უხილავი სახე, რომელიც ერთხელაც არის სხეულს შეისხავს, იდუმალი ნიშანია ქმნადი ქვეყანისა, ანუ **სიმბოლო** მისი შესაძლოებისა. ამრიგად, **სიმბოლო იდეას სხეულია** (პლოტინი), **გააზრებული სახე შესაძლებელისა...**

ადამიანი ერთად-ერთი სახეა, რომელიც „მე“-დ არის გაპიროვნებული. იგი ერთად-ერთი პირია, რომელიც გრძნობს ამ „მეს“ უსულო განსახიერებას. ადამიანი ხედავს, რომ ყოველი სახე, ერთხელ ქმნილი, სამუდამოდ ჰქრება: ერთს გაანათებს მეტეორსავით, რომ მერე ბნელით მოცული უფსკრულში შთანთქას. იგი მხოლოდ მას ხედავს, რომ „მე“ „არა-მედ“ იქცევა, **არსი არარად ხდება,**—და მის თვალის წინ წამოიჭრება მსოფლიო, როგორც საშინელი მოჩვენება, ძველ ინდოელთა მაიის ზეწარში გახვეული.. იგი სწყევლის ამ მართლაც და წუთი-სოფელსა,—და ნაღვლობს თავის „მეს“ წარმავალობას, მის სრულებით აღკვეცას, ქვეყნითგან არარად გაქრობას..

მაგრამ ადამიანის ბუნებაში არის ერთი რამ ძალა, რომელიც მას ამ წუთიერებას წარუვალად აჩვენებს, წარიტაცებს ოცნების მხარეს და უკვდავების წყალს ასმევს. ეს მქნე ძალა სიყვარულია, მსოფლიო ცეცხლი, რომელიც აცდობს და გამოჰჭედს ადამიანის პიროვნებას. დიახ, **ვინც პირველში განიცადა სიყვარული, მან პირველად იგრძნო უკვდავება.** და მართლაც! ადამიანი ილტვის მოსპოს თავის ნახევრობა, ისწრაფვის ნახოს თავისი მეორე ნახევარი, თავისი მეორე „მე“, მისგან რაღაც საიდუმლოებით მოწყვეტილი და წყვდიადს საუკუნოებში დაკარგული. და ნახულობს კიდეც: იგი არის მისი სატრფო, მისთვის ქმნილი და მისთვის შობილი. იგი აღარ არის ეხლა ობოლი, ეული, სამყაროს მოცლილი, იგი სრულიად განხორციელებულია, განსახიერებული იგი ესხეულა თავის ცოლს, თავის ძვირფასს ცოლს, გადაექსოვა მის სულს, გარდაიქმნა მასთან ერთად ერთს არსებად და ეხლა იგი სრული და მთელია, დასრულებული და გამთელებული. და ჰგონია მას, უკვდავჰყო თავისი „მე“. აბა როგორ წარმოიდგენს, რომ იგი გაჰქრება, ან სატრფო მოსცილდება მას? დიახ, ვისაც უყვარს, იგი უკვდავებას გრძნობს. მაგრამ მხოლოდ გრძნობს: სინამდვილეში მისი განცდა სხეულს ვერ ჰპოულობს... და იტანჯვის ადამიანი: უკვდავების ჩქერით დამთვრალი, იგი ეხლა კიდევ უფრო ნაღვლობს უკვდავისა და მარადისათვის. იგი იტანჯვის; სიყვარულმა ვერ შეისხა უკვდავების სხეული; მაგრამ ადამიანს სურს იგი წამი უკვდავების გრძნობისა რაიმეთი მაიც აღბეჭდოს, მისცეს მას ხელოვნური საჭვრეტი სახე... და იქმნის აქ ხელოვნება და ხელოვნური სიმბოლო. **დიახ, ვინც შეიყვარა, მან იგრძნო უკვდავება და ვინც იგი უკვდავება სიცოცხლედ ვერ აქცია, მან შეჰქმნა პირველში მისი ხელოვნური, სიმბოლიური სახე.**

აქ იწყება ნამდვილი შემოქმედება. ადამიანი, სიყვარულით განცდილი, ინტუიციით სცნობს, რომ ქვეყნიური აზრი ჯერ არ არის სავსებით განსახიერებული; იგი არსი ილტვის მხოლოდ, რომ სრულიად განსახიერდეს და კიდეც სახიერდება. ხელოვანი ადამიანი წინასწარ უჭვრეტს მის შესაძლებელს სახეს, სრულსა და მთელს, და ღვთიური ცეცხლით ანთებული სჭრის იგი იმის სახეს მრავალფეროვან მარმარილოში, ხატავს მას ყვავილოვან ფერებში, ახმოვანებს მას მუსიკალურ ჰანგებში.. ვენერა მილოსისა არსად არ არსებულა, მაგრამ მისი სხეულის ქალური მშვენიერება წინადვე იხილა მისმა შემქნელმა და მან ცივსა და თეთრს მარმარილოში გამოჰკვეთა მისი მატყვევებელი ტანი. ჩვენ ვისმენთ ბეტჰოვენის სმენამათრობელ სიმფონიასა და გადავყევართ მას სადღაც შორს, საზღვარს იქით, სადაც ნეტარი სული და ტკბილი სხეული თვალის-მომხიბლელ დ სურნელოვან ყვავილად იშლებიან... და ასე ყველგან, ყოველს ხელოვნურს ნაწარმოებში... ხელოვნება გვანახვებს ჩვენ იდეალურს სახეს, **ჯერ კიდევ არ შვებულს, მხოლოდ შვებად განმზადილს,** და მით იგი გვიშლის თვალ-წინ სხვა სინამდვილეს, ხელოვნურს ანუ სიმბოლიურ სინამდვილეს. ყოველი მოვლენა წარმავალია, ყოველი არსი დროული, მაგრამ ხელოვნება გვანახვებს მათში **უკვდავს, მხოლოდ ჯერ არ ქმნილს,** სახესა: იგი ჰხდის მათს მოჩვენების საიდუმლო და შემზარავ ზეწარს, და ჩვენ წინ იშლება, რომ ყოველი წარმავალი იმართვის უკვდავისა და მარადის მიმართ... ხელოვანი იცქირება ამ იდუმალს სარკეში, ხედავს მასში შორით მჭვრეტს სახეს და წარმოსთქვამს: Alles Yergängliche isf nur ein Gleichniss: ესე იგი, ყოველი წარმავალი, ხილული, რეალური, ფარული ნიშანია რაღაც სხვაყოფისა, მარადულისა... ამას ამბობდა დიდებული გიოტე, ეს წინამორბედი თანამედროვე სიმბოლიზმისა. შესანიშნავი მხატვრული მაგალითი მოიყვანა არტურ შოპენჰაუერმა: წარმავალი მოვლენანი, ეს—ურიცხვნი, შეუჩერებელნი შხეფნია გადმოშვებულის ჩანჩქერისა, ხოლო მათზე მშვიდათ გადაჭრილი და სხივშეჩერებული ცისსარტყელა ხილვაა ამ მოვლენათა იდეათა სფეროში...

ამგვარია არსება და ბუნება სიმბოლოისა. იგი არის ხელოვნური სინამდვილე: **სახე-აზრი,** რომელიც ერთხელაც არის „ნამდვილ სინამდვილედ“ უნდა იქცეს. იგი, ასე ვსთქვათ, ყოფის შუაგზაზე სდგას, ან მის გზაჯვარედინზე.. ჭვრეტა წინუსწრობს ნებაყოფას, სიმბოლო-სინამდვილეს, სახე-სხეულსა; ჭვრეტა ნებაყოფად უნდა იქცეს, სიმბოლო უნდა განამდვილდეს, სახეუნდა გასხეულდეს.. აქ თავდება ხელოვნება დ იწყება რელიგია.. ერთი მხრით, ჩვენ ვხედავთ შემოქმედს აქტს მხატვრულ სახეთა ქმნაში; მეორის მხრით, მისტიურს აქტს ამ სახეთა სიცოცხლედ გარდაქმნაში. პირველი შემოქმედი მხატვარია, ხელოვანი; მეორე—წინასწარმეტყველი, რეფორმატორი. ადამიანის (საზოგადოდ დ განსაკუთრებით თანამედროვის) სულს ერთი მძლავრი ნდომა ახასიათებს: მხატვრულ სახეთა **ყოფად-ქცევა;** მაგრამ მასვე ახასიათებს საშინელი უძლურება ამგვარის გარდაქმნისა—და შეჩერებულა იგი შუაგზაზე: ჭვრეტა მისი უმოქმედოა, მზერა მისი უნებო, სიტყვა მისი უხორცო. და სული იგი იწყებს **ხელოვნურ სინამდვილით სიცოცხლეს:** ჭვრეტით, მზერით, სიტყვით. ამ გვარ სიცოცხლეს ერთი რამ ხელსაც უწყობს: სახელდობრ ის, რომ ხელოვნურ სახეს საკუთარი სინამდვილე აქვს: სიტყვა აზრს გამოსთქვამს, მაგრამ თვითონვე იწყებს არსებობას გარე გამოთქმულისა; გამოთქმა სულიერ განცდას გამოსახავს, მაგრამ თვითონვე იწყებს არსებობას გარე გამოსახულისა. ჩვენ გვიყვარს რომელიმე საგანი დ გამოვსთქვამთ ამ სიყვარულს, მაგრამ ხანდა-ხან თვითონ სიყვარული უფრო გვიყვარს თვითონ მისი გამოთქმა, გამოსახვა, ვიდრე მისი საგანი, ეს სულიერი განწყობილება უკიდურეს წერტილამდე მუსიკაში აღწევს: მუსიკალური დატკბობით ჩვენ განვიცდით სიყვარულს, სიძულვილს, მეგობრობას, გმირულ თავგანწირულებას, შურის ძიებას და სხვ., დ ყველა ამას უსაგნოდ, თავისთავად. აი ხელოვნური სინამდვილით ესთეტიური სიცოცხ-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხვი ზედამხედველობის ქვეშ მყოფთა იზრდებოდა და თანხა კი არ ჰყოფნიდა. ასე რომ არ მოვქცეულიყავით, შესაძლოა, ბევრი სიმშილით დაიხოცებოდა. თუ სამინისტრო ამას არ გააკეთებდა, რაც ჰქნა, მაშინ სათათბირო მას უმოქმედობის ბრალს დასდებდა.

მარკოვიჩი ამბობს, რომ სამინისტროს შეეძლო თანხა მოეთხოვა საკანონმდებლო დაწესებულებისაგან, ან დაეხარჯა 10 მილიონიან თანხიდან. ფორმულა მიღებულია 103 ხმის უმეტესობით 72 წინააღმდეგ.

შინგარევი ლაპარაკობს შესახებ იმ კანონ-პროექტისა, რომლის ძალითაც სამრევლო სკოლების მასწავლებელთ უნდა მიეცეს 1 550.000 მან. და დასძენს, რომ ამ ფულის მიცემა არ შეიძლებოდა 17 მუხლის ძალით, რადგანაც ეს ხარჯი არ იყო საჭირო. მოითხოვს, რომ უარჰყონ ეს კანონ-პროექტი.

მღვდ. გეპეცკი უპასუხებს შინგარევს და ამბობს: კ.-დები საბლერის შურს იძიებენ და ამიტომ უნდათ დაჩაგრონ 7.000 მასწავლებელიო.

შინგარევი: საქმე ის კი არ არის, მიიღებენ თუ არა ფულს მასწავლებელნი; მათ უკვე მიიღეს ეს ფული საქმე ის არის, რომ საბლერმა არა მარტო 17, არამედ 16 მუხლიც დაარღვია.

მარკოვი-2 ამბობს, რომ კომისიამ ვერ ჰპოვა საბლერის მოქმედებაში უკანონობა. კ.-დების დოქტრინალური პარტია არ დაეძებს იმას, თუ ქვეყანა დაიქცევა, მხოლოდ 17 მუხლი არ დაირღვეს. უნდათ აწყენინონ საბლერს იმით, რომ არ მისცენ მასწავლებლებს ფული. ასეთი ტაქტიკა უზნეობაა.

კენჭის ყრის დროს გამოირკვა, რომ კანონ-პროექტის მიღების მომხრეა 102, წინა აღმდეგნი 102, ხელმეორედ კენჭის ყრის დროს 108 ხმა კანონ-პროექტის მიღების წინააღმდეგია 107 მომხრე. თავ. ვოლკონსკი ხმას უკანასკნელთ აძლევს, ასე რომ ისევ გაიყო ხმები. მესამედ კენჭის-ყრის დროს კანონ-პროექტი უარჰყვეს 112 ხმის უმეტესობით 109 წინააღმდეგ. უკამათოდ მიიღეს 21 წვრილი კანონ-პროექტი. განსახილველია საბიუჯეტო კომისიის მოხსენება, შესახებ სამხედრო-სამინისტროსათვის დამატებითი თანხის მიცემისა. ჯარისკაცთა სადგომების ასაშენებლად.

მარკოვი 2-ე ამბობს. რომ კომისიამ ვერ გამოარკვია, რად დასჭირდა სამინისტროს დამატებითი თანხა, რად არ ეყო ფული გადადებული სადგომების ასაშენებლად. უწყების განმარტება ვერ არის კარგად შედგენილი. რადგანაც ერთი ადგილი მეორეს ეწინააღმდეგება. რადგანაც კომისიას არ ძალუძს დარწმუნდეს მოხსენების სიმართლეში, წინადადებას იძლევა უარჰყონ კანონ-პროექტი.

სამშენებლო საქმეთა გამგე ამბობს, რომ უწყებას არ შეეძლო სხვანაირად დაეწყო საქმე. გადამეტებითი ხარჯი არ შეიძლებოდა აგვეცდინა თავიდან. უარყოფა კანონ-პროექტისა ხელს შეუშლის უწყებისაგან შემუშავებულ გეგმის შესრულებას.

კანონ-პროექტი უარყოფილია.

მიღებულია პროექტი ბუენოს-აისერში და რიოდე-ჟანეიროში საკონსულოების დაარსებისა.

შემდეგი სხდომი სამშაბათისთვის არის დანიშნული.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ ქალაქის გამგეობა ბუნების მეტყველთა და ექიმთა მეცამეტე კრების მონაწილეთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ მათ ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, შეუძლინთ მიიღონ ყოველგვარი ცნობა იმ საქალაქო დაწესებულებათა და საქმეთა შესახებ, რომელიც ეინტერესებათ.

◆ ბუნების—მეტყველთა და ექიმთა მეცამეტე კრებისათვის **იაფი სადილებია** მოწყობილი მისტროვის სასადილოში, პოტტოსთან (გოლოვინის პროსპექტზე), ვეტცელთან, ბომონდში და სხვაგან.

მათთვის სასტუმროებში დაქირავებულია 130 ნომერი, ხოლო კერძო სახლებში—200 ოთახი.

◆ **წალვერის თეატრი** იჯარით აიღო ანტრეპრენიორმა თ. დოლიძემ, რომელიც ამ ზაფხულში იქ ქართულსა და რუსულს წარმოდგენებს გამართავს.

◆ **ქალაქის საავადმყოფოებში.** მაისის განმავლობაში ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში და მის ავლაბრისა, ხარფუხისა, კუკიისა და დიდუბის განყოფილებაში 6,575 ავადმყოფი მისულა.

◆ ქალაქის გამგეობა **მესაქონლეების გამოფენაზე** (გუმბრში) თავის წარმომადგენლად ჰგზავნის ქალაქის ბეითალს ვ. ს. აღაჯანოვს.

◆ **ხორცის ახალი ნიხრი** ქალაქის გამგეობამ გუშინ გუბერნატორს დასამტკიცებლად გაუგზავნა.

◆ ბუნების მეტყველთა და ექიმთა მეცამეტე კრების მონაწილეთათვის ქალაქის გამგეობამ **სამკურნალო დახმარება** მოაწყო; ვაჟთა მეორე გიმნაზიის შენობაში ხუთი საწოლი გამართა. იქ მუდმივად ორი ფერშალი მორიგეობს. უმთავრესი ხელმძღვანელობა დავალებული აქვს ექიმს ჩუდნოვსკის.

◆ **საბირჟო ცნობები.** 15 ივნისს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა, აფასებენ—85 მან. 50 კ., აძლევენ—85 მან. 20 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—83 მ. 25 კ., აძლევენ—82 მან. 70 კ. და ქუთაისის სათავ.-აზნაურო საადგილ-მამულ. ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—81 მ. 25 კ., აძლევენ—80 მ.

◆ **სიონის საკათედრო ტაძარს დღეს დაათვალიერებენ** ბუნების მეტყველთა და ექიმთა მეცამეტე კრების მონაწილენი.

◆ **წესიერი დასვენების** სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის 14 ივნისს სავაჭრო-სამეურნეო მეთვალყურემ ე. ლომიძემ სალდათის ბაზარზე ცხრა ვაჭარს შეუდგინა ოქმი.

◆ **ბესტუჟევის ქალთა უმაღლეს კურსებზე** (პეტერბურგში) წელს საფიზიკო-სამათემატიკო ფაკულტეტი გაათავა მხოლოდ ერთმა ქართველმა ქალმა ე. ი. ლომთაძემ.

სასწავლებლებში

◆ წელს მეოთხე ქალთა გიმნაზია დაამთავრა შვიდმა ქართველმა ქალმა: აბულაძემ, კარიჭაშვილმა (ვერცხლის მედლით), კურტაშვილმა, ლომიძემ, მიქაბერიძემ, (ოქროს მედლით), ჩაგუნავამ და ჩოლოყაშვილმა.

გორი.

◆ 20, 21 და 22 ივნისს გაიმართება გამოფენა ხელსაქმისა ქალ. გორში, კნ. ელენე თარხნიშვილის სამკერვალო სკოლაში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გორის საზოგადოება სიამოვნებით მიეგებება ამ ფრიად საჭირო და სასარგებლო საქმის დამწყების შრომას და თავისის თანაგრძნობითა და დახმარებით გაამხნევებს სკოლის გამგეს, რომელიც მთელ თავის ზნეობრივს და მატერიალურ ძალ-ღონეს ამ სკოლის გაუმჯობესობას ანდომებს. სახელოსნო სკოლის გამოფენა ფრიად საინტერესო და მრავალ ფეროვანი იქნება: აუარებელი ხელნაქნარია მომზადებული დიდის გემოვნებით შეხამებული და ხელოვნურად მოქარგული; ქალებისა და ბავშვების ტანთსაცმელი, ოჯახში სახმარებელი და სახლის გამამშვენიერებელი დამზადებული ნივთები: სუფრები, პირსახოცები, ბალიშები, დგამის მოსართავი ნაქარგი გადასაფარებლები, შირმები და სხვა.

ქუთაისი.

◆ შავი-ქვის მრეწველთა მე-XV კრებამ გადასწყვიტა; ქუთაისში გამოსცეს ჟურნალი სათაურით: „ბიულლეტენი"—ჟურნალი იქნება ქართულსა და რუსულს ენაზე გამოცემული დავით ჩადუნელის რედაქტორობით. გუბერნატორმა ამის ნება უკვე დართო საბჭოს—და ამ მოკლე ხანში შეუდგებიან ჟურნალის გამოცემას, რომელშიც მოთავსებული იქნება ხოლმე ყოველგვარი საჭირო ცნობა შავი-ქვის შესახებ. ჟურნალი ეღირება წლიურად ერთ მანეთად.

◆ რამდენიმე მუშას განუზრახავს, რადგან გაზ. „იმერეთსა" და „სახალხო გაზეთს" სამკითხველოს გარდა ვერსად შოულობენ წასაკითხავად, ამიტომ ყოველმა ოცმა მუშამ გამოიწეროს თითო ნომერი ზემოხსენებულ გამოცემათა და მით გაიგონ იდეურ მოწინააღმდეგეთა აზრი ამა თუ იმ საგნის შესახებ.

◆ 1912 წლის განმავლობაში ჭიათურაში იყო გამართული 21 შავიქვის სარეცხი ქარხანა. გარეცხილა 91,967,182 ფუთი შავიქვა. გარეცხის შემდეგ დარჩა 14.053.695 ფუთი. ამაზე დაიხარჯა 2,181 ფუთი კეროსინი, 5,000 ფუთი ნახშირი, 43,873 ფუთი ნავთი, 21 საჟენი შეშა. ყოველ-დღიურად მუშაობდა 650 მუშა.

◆ ხონში საზაფხულო თეატრალური სეზონი 16 ივნისიდან იწყება. მოწვეული არიან, სხვათა შორის, ნინო ჩხეიძისა და ო. ღოღობერიძის ასულნი და შ. ქორელი, ნ. გვარაძე. განზრახვა აქვთ მიიწვიონ ვ. აბაშიძე, გუნია და შალიკაშვილი. რეპერტუარი რჩეული პიესებისაა.

დღიური

სახალხო თეატრი.

გუშინდელ გაზეთში დაბეჭდილი იყო მოკლე ანგარიში სახალხო სახლის წარმოდგენებისა გასულის სეზონის განმავლობაში. ანგარიში ფრიად სასიამოვნო და სანუგეშო შთაბეჭდილებას სტოვებს: ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ წარმოდგენების მმართველი წრე დიდებულ საეროვნო საქმეს უძღვება, საქმეს, რომელსაც უმტკიცესი ნიადაგი აქვს მოპოვებული.

ტფილისში დღეს რამდენიმე საუბნო სახალხო თეატრი არსებობს, ყველას თავისი საზოგადოება ჰყავს, ყველამ დაიმსახურა მაყურებლების თანაგრძნობა და სიყვარული. ამ თეატრებში უკვე გაიდვა ხიდი ხალხსა და დრამატიულ ხელოვნების შორის, რომელიც ერთად-ერთი ჰქმნის სცენას—ტაძარს. აქ დამყარდა ის სიცხოველე, ის განუკვეთელი ურთიერთობა, რომელიც აუცილებელი პირობაა ყოველის სასცენო შემოქმედებისა. აქ მხატვრის-მოთამაშის გულში აღძრული ტალღა გადადის მსმენელთა სულში და იწვევს იმ განწყობილებას, რომელიც თანჰყვება გულწრფელს მლოცველს. აქ მაყურებლის სულიერი შფოთვა და განცდა მსახიობის განცდაა და მისი მოქმედების-თამაშის მასაზრდოებელი. სახალხო თეატრებში ჩვენ ვხედავთ გრძნობათა განწმენდას, ზნეობრივს განახლებას, ვხედავთ სცენისა და მსმენელის განუყოფელობას, მოთამაშის და მაყურებლის გაერთიანებულს შემოქმედებას, რომელმაც წარმოშვა საბერძნეთის თეატრი და რომელსაც ერთს შეუძლია აღადგინოს დღეს შერყეული დრამატიული ხელოვნება.

ჩვენს სახალხო თეატრებში შეერთდა მსახიობი და ხალხი, ან ყოველს შემთხვევაში ახლოა ამ შეერთებასთან—და ეს უდიდესი გაკვეთილია საზოგადოდ ყველა სასცენო მოღვაწისათვის, ეს გზაა ქართული თეატრის აყვავებისა. ჩვენი განათლებული საზოგადოება განყენებულად უცქერის მშობლიურ სცენას, იგი თეორეტიულად ეპყრობა დრამას, თეატრში ეძებს აზრებს და გონების საზრდოს და არა იმას, რომ მთელმა მისმა ბუნებამ განიცადოს, ხშირად შეუგნებელი, ტანჯვა და აღფრთოვანება, დაცემა და განახლება. გვავიწყდება, რომ თეატრი სამეცნიერო დაწესებულება არაა, რომ მან რაიმე ცნებანი კი არ უნდა გვასწავლოს. თეატრი პოეზიაა, თეატრი მხატვრობაა, თეატრი ეკლესიაა და აქ კი არაფერს გვიმტკიცებენ, არამედ აღძრავენ განცდათა ზნეობრივ განახლებისათვის. მსმენელმა უნდა განიცადოს მსახიობის შემოქმედება, მისი გული უნდა ე[illegible] მოთამაშის განცდას, მისმა გულმა უნდა მიიღოს, შეითვისოს ბუნებით დრამა—და მაშინ შეასრულებს თეატრი თავის ნამდვილ დანიშნულებას.

ამას გვასწავლის სახალხო თეატრი.

არის მეორე საქმეც, არა ნაკლებ დიადი ჩვენთვის, რომლისაკენ არის მიმართული სახალხო თეატრის მუშაობა. ჯეროვანად დაყენებული თეატრი საერთოდ უძლიერესი კულტურული იარაღია. იგი თამაშით და გართობით ავითარებს და ამაღლებს ხალხს, და რადგან თეატრი არსებითად ეროვნულია, როგორც ყოველი ხელოვნება, ზრდის ხალხს ეროვნულად, უღვიძებს და უძლიერებს სიყვარულს თავის ენისა, კულტურისა და პიროვნებისადმი. ამ საქმეს პირნათლად ემსახურება ჩვენი სახალხო თეატრი. აქ ამ ქართულ ხელოვნების ტაძარში ხალხი სავსებით განიცდის თავის ეროვნულს არსებობას, ვინაობას და ეჩვევა ქართულს აზროვნებას. აქ ხედავს ერს სალოცავად, საკეთილშობილოდ მოსულს, ეცნობა მის უმაღლეს თვისებებს, ეზიარება მათ და სხვებსაც უნაწილებს თავის სულის კვეთებას. აქ ცხადდება ეროვნული სახე, აქ იჭედება ეროვნული ერთობა. ჩვენი მომავალი ჩვენი ხალხია, ჩვენი მდაბიო ხალხი და ყოველი დაწესებულება, რომელიც ამ ხალხას დასაწინაურებლად არის, ჩვენთვის ძვირფასია და სათაყვანებელი...

ყველას მოვალეობაა სრული ჩვენი თანაგრძნობა და მადლობა მივუძღვნათ სახალხო თეატრის მოღვაწეებს და დავეხმაროთ, ვისაც კი რითი შეგვიძლია. **სიტყვა.**

მუშათა ცხოვრება

ქალაქ ახალციხეში მყოფ გ. ნიკოლაევის სახერხავ ქარხნისა და წისქვილის მუშებმა ტფ. გუბერნატორს წარუდგინეს საჩივარი ახალციხის ქალაქის მამასახლისის ბ. მოსესოვის უკანონო საქციელისა გამო. ისინი ამბობენ: „დიდი ხანია ჩვენ და ჩვენი ამხანაგები ვმუშაობდით ბ. ნიკოლაევის ქარხანასა და წისქვილში და ამით ვპოულობდით სახსარს ჩვენისა და ჩვენი ოჯახების არსებობისათვის. ახალციხის მამასახლისი, რომლის ძმასაც აგრეთვე აქვს ახალციხეში ხის სახერხავი ქარხანა, რამდენჯერმე შეეცადა ნიკოლაევის ქარხნის მუშაობისათვის ხელი შეეშალა: არხის ჯებირს არღვევდა და წყალს განზე უშვებდა. მიუხედავად ამისა, წყლების სამმართველოს დახმარებით ნიკოლაევი მაინც ახერხებდა მუშაობის განახლებას. ახლა კი

ლე.*) ხელოვნური გარდაქმნა ქვეყანისა და გარდაქმნილით ესთეტიური სიცოცხლე, აი გამოსავალი მუხლი მშვენიერების რელიგიისა. რა არის იგი რელიგია და რარიგ გამოისახვის იგი?

ხელოვნურ ქმნა-გარდაქმნაში ერთგვარი გრძნობათა ნაკადია, რომელიც ნდომის ვერცხლის ჩქერად გადადის. ეს ნაკადი რიტმი და თამაშია. არის წამი, როცა ადამიანის სული აღარ არის სინამდვილით შებოჭვილი, იგი თავისუფალია, ყოველს მოცლილი და ვნება აშლილი დანავარდობს ოცნების მხარეს. და ეს თავისუფალი ნავარდი რიტმიული თამაშია: იგი ტალღასავით პლასტიურად გადადის, ნიავსავით თავისუფლად ჰქროლავს, ჩქერსავით ვერცხლისფერად გადმოსჩქეფს. ძველი ელლინი და მხოლოდ ის გრძნობდა ამ ნაკადს მთელი მისი სიმშვენიერესიძლიერით, მის სისხლში სრბოლა ნელთბილი ტალღა ამა ნაკადისა,—და მან შექმნა სახენი ამ რიტმიულის თამაშისა: დიონისო და აპოლლო. **აპოლლ მზეა, ზღვის ტალღებში ტანს რომ იბანს; დიონისო ზღვაა, მზის სხივებით რომ თვრება;** პირველი მზერა და ჭვრეტაა, მეორე ვსება და სისხლი; პირველი მოსხლეტილი შვილდია, გასროლილს ისარს რომ უცქერს; მეორე გატყორცნილი ისარია, მსხვერპლის დაკოდვისათვის რომ ვნებობს; პირველი მძლავრი ფრთების გაშლაა და ტიალს სივრცეში შეჭრება, მეორე ფრთების ფრთქიალი და არწივის ყივილი.. ამ ორ ნაკადშია შერთული აპოლლო და დიონისო: ისინი ერთიმეორეს სცილდებიან, მაგრამ არა სამუდამოდ, არამედ ხელმეორედ რომ შეხვდნენ ერთიმეორეს, მეტის წყურვილით და მეტის სურვილით.. წარმოიდგინეთ: ზეცით მომადლებული ხელოვანი ხელში იმარჯვებს პატარა ქიანურს, ერთვის მას სულით, ეზრდება ხორცით, და ნაზად გაჭიმული წნელის დასმით სხივებს აფრქვევს მისი სიმებითგან; სხივნი ხმებად იშლებიან, ხელოვანი ნელინელ თვრება სმენითა და ვნებით შეპყრობილი უფრო და უფრო შლის იმა ხმებს მრავალფერადა; აქ იგი ვნებულ დიონისოდ იქცა.. იგი თვრება, თუმცა არ დათვრება; იგი თავს ივიწყებს, თუმცა სულ არ დაივიწყებს; და ერთგვარ ზომადაჭერილი თვითონვე უჭვრეტს თავის თავს, თვითონაც ხდება მსმენელი და გემობს უმაღლესს ესთეტიურ დატკბობას; ეს კი აპოლლოს ნაკადია... ან კიდევ: წარმოიდგინეთ: მოხდენილი მხედარი თავისუფლად მიაჭენებს მშვენიერს მერანს და მასთან ერთად ფრთა ასხმული ამაყი გამოწვევით ხელში ხმალს ათამაშებს; იგიც მთვრალია, იგიც დიონისოა... მაგრამ მერანი არ არის სადავე მიშვებული სრულიად, მხედარს სადავე მარჯვედ უჭირავს და ერთნაირად თავდაჭერილი იგი თვითონვე უცქერს თავის ფრენას, თვითონაც ხდება მაცქერალი თავის თავისუფალი გადაჭრისა, და სტკბება უმაღლესად; ეს კი აპოლლოს ნაკადია... ან კიდევ: წარმოიდგინეთ: თავისუფალი მენავე იალქანით მომართული ნავით მიაპობს ზღვის ტალღასა: გადადის ტალღა და თან მიჰყვება ნავი, თამაშობს ზვირთი და ნავსაც ათამაშებს. მენავე ვნებით ფრთად ქცეულია, რომლითაც გარდალახავს ზღვის ზედაპირს; იგიც თვრება, თავს ივიწყებს, წამიც არის, სრულიად შესტოპოს ზღვის ზვირთებში, სტკბება დიონისური ვნებით და უფსკრულის მაცდური მიმზიდველობით; მაგრამ თავი აგონდება, ზომას იჭერს, და მაცქერალი **აშვებული თავდაჭერისა** სტკბება აპოლლოს ჭვრეტითა... **დიონისო—ეს ის გრძნობაა, რომელიც ვნებული ნდომით ჩქეფად გადმოდის; აპოლლო—ეს ის გრძნობაა, რომელიც ჭვრეტის ცისსარტყელად ჩანჩქერს გადაეჭრის** (შოპენჰაუერის სიტყვა). და აი, აქ ღვივის ცეცხლი შემოქმედებისა, სჩქეფს სისხლი გონებისა, იშლება ფრთა აღმაფრენისა.. ადამიანი, ამ ნაკადით დამთვრალი, (ნიცშეს სიტყვით) თვალ ახვეულია, მაგრამ ყველაფერს ხედავს: არაფერს ეძებს, თუმცა ყველაფერს ნახულობს.. სიტყვა სიტყვას მოსდევს თავის თავად, რომ აზრის სხეულად იქცეს და სახელი თავისთავად ჩნდება, რომ საგანს დაერქვას; სახე უხმობლად მოდის, რომ სურათი დახატოს... ხმა, ათასნაირად ხვეული, სჩნდება, რომ გრძნობა ამუსიკოს; ფერი, ათასნაირად აყვავებული, იშლება, რომ გრძნობა ლამაზად შეღებოს... სული მზადაა ყოველს სიმს გასცეს გახმაურება, თუმცა არ სჯერა, რომ რაიმე სიმი ჩაიქსოვს მის ნარნარობას" ეს ღვთიური წამია, როცა, ნიცშეს სიტყვით, **„ყოველი ყოფა თხოულობს იქცეს სიტყვადა"**; სიტყვად საზოგადოდ, გამოთქმად: ხომ შეიძლება უბრალო ბრინჯაოთიც რაიმეს გამოსახვა, ხომ შეიძლება უბრალო ლერწმის ნაჭერით რაიმეს გამოთქმა! დიაღ, **ყოველივე ყოფა იქცევა სიტყვად..** და განა, მთელი ბუნება ერთი უცნაური სიტყვა არაა, რომლის გამოთქმელი სადღაც საიდუმლოთ მიმალულა?!

აი ის ნაკადი, რომლის გაძლიერებით ფრ. ნიცშე ზარატუსტრას სახით ზეკაცის მოვლინებას შესტრფოდა. აი ის ნიადაგი, საცა გაიშალა უაილდის ესთეტიური თეორია 1). აპოლლო და დიონისო; რიტმი და თამაში, ვნება და ვნებით თრობა, შეუწყვეტელი ლხინი, მუდმივი ქეიფი, უშრეტი ჩქერი მუსიკალურ გრძნობათა,—აი ესთეტიური გარდაქმნა ქვეყნისა და სიცოცხლე ხელოვნობის სინამდვილითა. სინამდვილე ხელოვნებაა მხოლოდ და ოცნება მისი მომხიბლავი სანავარდო. ნამდვილი სინამდვილე დინჯი და უხეშია, ხელოვნება-მოქნილი და ნარნარი; სინამდვილე მახინჯია და უშნო, ხელოვნება ლამაზი და შნოიანი; სინამდვილე საზიზღარია და შემზარავი, ხელოვნება მშვენიერი და მიმზიდველი.. რით სცილდება ხელოვნება სინამდვილესა? ოცნებით, მშვენიერი ტყუილით, მხატვრული სიცრუვით. „ხელოვნება ჩადრია უფრო ვიდრე სარკე,—ამბობს უაილდი (ციტატები მოყვანილია მისი ესთეტიური მანიფესტიდან); მას აქვს ყვავილნი, რომელნი არ იცის არც ერთმა ტყემ; მას ჰყავს ფრინველნი, რომელნიც არ მოიძებნებიან არც ერთს ტყის ტევრში. იგი ჰქნის და ამსხვრევს მთელს ქვეყანას; მას შეუძლია მისწვდეს თვით მთვარეს ბროწეულის ყვავილის ფერი ძაფითა. მას ეკუთვნიან ფორმანი, უფრო ნამდვილნი ვიდრე თვით ცოცხალი ადამიანი; მას ეკუთვნიან უმაღლესნი წინასწარსახენი, რომელთა უბრალო მსგავსებად გამოდიან არსებულნი საგანნი" ხელოვნება ჰქმნის ცხოვრებას და არა ცხოვრება ხელოვნებას: „იგი იღებს ცხოვრებას როგორც უბრალო მასალას, გარდაქმნის და ასხამს მას ახალს ფორმებში". „წიგნთ-საცავში არის „ღვთიური კომედია", და მე ვიცი, რომ თუ გადავშალე მისი ცნობილი ფურცელი, ჩემი სული აღივსება მკაცრი მძულვარებითა იმ პირისადმი, რომელსაც ჩემთვის არავითარი ბოროტი არ ჩაუდენია, და აღიგზნება დიადი სიყვარულით მისდამი, რომელსაც მე ვერასოდეს ვერ ვნახავ. არ არის ისეთი გუნება, არ არის ისეთი ვნება, რომლის მოცემა არ შეეძლოს ხელოვნებასა". და მართლაც! აიღეთ მუსიკა: თქვენ ისმენთ მის ხმებს და გრძნობთ სიყვარულს, რომელიც არასოდეს არ განგიცდიათ; თქვენ თვრებით მისი ხმებით და განიცდით მეგობრობას, რომელიც არასოდეს არა გქონიათ... რათა? რათა და ხელოვნება მშვენიერების მასხველია და „მშვენიერება ხომ უმაღლესი ფორმაა გენიისა". და ამით, უაილდის აზრით, **ხელოვნური ფორმა სიცოცხლის პრინციპად ხდება.**

„დიაღ, ფორმა ყველაფერია. მონახეთ გამოთქმა მწუხარებისა და მწუხარება ძვირფასი გახდება თქვენთვის. მონახეთ გამოთქმა სიხარულისა და აღამატებთ თქვენ მის აღტაცებას. თქვენ გსურთ გიყვარდეთ, იმეორეთ ლოცვანი სიყვარულისა და სიტყვებით გაიღვიძებენ თქვენში ის ამონაკვნესნი, რომელნიც ბევრის აზრით ამ სიტყვების წყაროდ გამოდიან. თქვენ მწუხარება გაქვთ, რომელიც გულსა გიღრღნით! ჩაძირეთ ტანჯვის ენაში, ისწავლეთ კაეშნის მხილება პრინც ჰამლეტისაგან და დედოფლის კონსტანციასაგან, და თქვენ დაინახავთ, რომ მარტოდ-მარტო გამოთქმა უკვე ერთგვარი ნუგეშია, და ფორმა, რომელიც დასაწყისია ყოველი ვნებისა, იმავე დროს ტანჯვის დასასრულია". ასეთია ესთეტიური სინამდვილე, რომელშიაც წარჩინებული ახრჩობს დუხჭირს სინამდვილესა. ასეთია ძლიერება სიტყვისა: „მხოლოდ როცა გამოსთქვამ, ამით აძლევ საგანს სინამდვილეს",—ამბობს უაილდ (დორ. გრ.). ასეთია გამოთქმის ძალა: „სიტყვები თითქო პლასტიურ ფორმას აძლევენ უფორმო ნივთებს; მათ აქვთ საკუთარი მუსიკა, რომელიც უფრო ტკბილია, ვიდრე ფანდური და ქნარი".

ასეთია სიტყვისა და გამოთქმის ფილოსოფია. ხოლო საცა სიტყვა ძლიერია, იქ ქცევა სუსტია; საცა გამოთქმა ღრმაა, იქ ქცევა ლანდისებურია; საცა ჭვრეტაა ყოველი, იქ უმოქმედობაა. მგოსანს სიტყვა უფრო მოსწონს, ვიდრე მისი გამოთქმული გრძნობა; მემუსიკეს თვითონ ჰანგი უფრო მოსწონს, ვიდრე მასში გამოთქმული ფიქრი. ლეონარდო და ვინჩის უყვარდა ჯიოკონდა, მაგრამ მასზე უფრო მისი სურათი უყვარდა. იბსენის მქანდაკს უყვარს ირენა, მაგრამ მასზე უფრო უყვარს მისი ქანდაკი-სიმბოლო: ქალწული, საუკუნოებში მიძინებული და ახლახან გაღვიძებული „კაცი შემოქმედია და უყვარს ქალი; მაგრამ სიმბოლო უფრო უყვარს, ვიდრე ქალი-სინამდვილე „კალმა შექმნა მადონნა, ბეატრიჩე, სოლვეიგი, ნესტანი, რადგან უფრო მჭერმეტყველი იყო, როგორც ლეონარდო და ვინჩი. და აი, უაილდიც, ეს სიტყვის მეფე და გამოთქმის ნაპოლეონი, ქებას ასხამს შემოქმედებას: „როცა კაცი მოქმედობს, იგი მარიონეცია; ხოლო, როცა აღწერს, იგი მგოსანია"; „ისტორიას ყველა აკეთებს, ხოლო მისი დაწერა დიდის ადამიანს შეუძლიან; „უფრო ძნელია ნივთზე ლაპარაკი, ვიდრე ნივთის გაკეთება"; ღმერთები არ მოქმედობენ: ისინი მხოლოდ ოცნებაში სჭვრეტენ. და ყველა ეს მისთვის უნდა იყოს, რომ „ქვეყანა მომღერალის მიერ არის შექმნილი ოცნების მოტრფიალესათვის". „დიაღ, მე ოცნების მოტრფიალე ვარ,—ამბობს უაილდ ჯილბერტის პირით,—რადგან ოცნების მოტრფიალეა ის, ვინც მხოლოდ მთვარის განათებაში ნახულობს თავის გზასა და სასჯელად ამისა ყველაზე უფრო ადრე ხედავს განთიადსა.

—

ასეთია უაილდის ესთეტიური თეორია! იგი მშვენიერია, მაგრამ ამასთან მაცდური; იგი მომხიბლავია, მაგრამ ამასთან საშინელი. იგი მშვენიერია და მომხიბლავია როგორც აღმაფრენა მხატვრული შემოქმედებისა, ხოლო მაცდური და საშინელი როგორც პრინციპი ხორცსხმული სიცოცხლისა. ხელოვნური სინამდვილე მხოლოდ სიმბოლოა სასურველი სიცოცხლისა და მით სიცოცხლე როგორც სინამდვილე საშიშარი თავის მოტყუებაა. აქ მარხია წყარო თანამედროვე დეკადანსისა. მხატვრობით დამთვრალი პირს არიდებს ნამდვილს ცრემლს, რომელიც უშნო და ულაზათო სახეს ჩამოსდის, და ამავე დროს იგი ცრემლსა ღვრის, როცა მუსიკით შვებულს მწუხარებას ისმენს. კიდევ მეტი: იგი გმირულ თავგანწირულებას განიცდის, როცა ხელოვნურ ტრაგედიით სტკბება, ხოლო თუ უხეში და ტლანქი ვინმე შეხვდა, იგი ხულიგანურ შეურაცხჰყოფს მას. რათა? რათა და მისთვის, რომ ნამდვილი ცრემლი უმეტესად საზიზღარი და შემზარავია, ხოლო ხელოვნურად მოგვრილი მშვენიერი და მატკბობი... მაგრამ, როდემდის უნდა გაურბოდეს იგი სინამდვილეს? ჭვრეტა მისი უმოქმედოა, მზერა მისი უნებო სიტყვა მისი უხორცო. და სუსტდება და ხრწნება მისი სული... იგი ცხოვრობს მფრინავი და აღმაფრენი ოცნებით, მაგრამ სინამდვილის კლანჭებში ოცნება იგი უძლური და სუსტია: იგი ის მშვენიერი ლურჯი ფრინველია, რომელიც სინამდვილის ცივს სუსხში ფრთებს აფართქალებს. და ის, ვინც ოცნებით ფრთაასხმული ზეცას მინავარდობს, ის შეიძლება მისგან უარყოფილ მიწას დაეცეს ფრთაშეკვეცილი და იხოხოს საცოდავად; ის, ვინც უარყოფს მიწას, მას იგი მიწა სამარეს უმზადებს. დიახ ვინც უარჰყოფს სინამდვილეს, მას იგი უარყოფა საშინელი შურისძიებით მოევლინება თავს.. ჩვენ უნდა ვეტრფოდეთ არა იმ ოცნებას, რომელიც სინამდვილეს უარჰყოფს, არამედ იმ ოცნებას, რომელიც, ერთხელაც არის, სინამდვილეს სისხლსა და ხორცს შეისხამს!!

გრიგოლ რობაქიძე.

(შემდეგი იქნება)

---

*) ხელოვნური სინამდვილე: მაგ. ცრემლი მუსიკით შვებული მწუხარებისა; ნამდვილი სინამდვილე: მაგ. ცრემლი, რეალურ მწუხარებით მოგვრილი. პირველი მწუხრია, მაგრამ ნეტარი, ტკბობა; მეორე მწუხრიცაა და შემზარავიც, აქედან: არსება ძველ ელლინთა ტრაგედიისა და ტრაგიკულით სიცოცხლის განცხოველებისა, ახლო ხანებში: ვაგნერი და ნიცშე..

1) უაილდ ნიცშეს არსად არ იხსენებს.

მოსესოვმა როგორღაც მოახერხა წყლის სამმართველოს თავიდან მოშორება და ახალი საშუალებით შეაფერხა ქარხნისა და წისქვილის მუშაობა; ე. ი. ამ თვის პირველ რიცხვებში გარეკა თავისი მუშები და დაარღვია რკინის გზა, რომლითაც პატარა ვაგონებით ხეები მოჰქონდათ ქარხანაში. გარდა ამისა ხეების ასაწევი გორგალი დააწყვეტინა და, ერთის სიტყვით, სრულიად შესწყვიტა ქარხნის მუშაობა; ამის გამო ჩვენ, მუშები, ჩვენის ოჯახებით ულუკმაპუროდ დავრჩით. თუ მამასახლისს რაიმე პირადი ანგარიშები ჰქონდა ნიკოლაევთან, მას შეეძლო იგი შეევიწროება მატერიალურად, თუ სხვა გზით; მაგრამ არ ვიცით, რა დავუშავეთ ჩვენ, დღიური მუშაობით ლუკმა პურის მშოვნელებმა, რომ ქუჩაში დაგვყარა ჩვენი ოჯახებიანად მშიერ-მწყურვალე“ ამის გამო მუშები სთხოვენ გუბერნატორს დაიფაროს იგინი თვითნებობისაგან და რაც შეიძლება მალე აღადგინოს ქარხნებს მუშაობა.

◆ ლოძში რიზენბლატის ფაბრიკაში ადგილიდან დაითხოვეს 10 ათასი მუშა. ვიზერის ფაბრიკიდან დაითხოვეს ხუთასი კაცი.

◆ პეტერბურგში ნევის გემების ქარხნის ერთ განყოფილებაში 31 დღეა გაფიცვაა, მეორე—მეექვსე კვირაა.

◆ პუტილოვის ქარხანაში მღებავთა გაფიცვა მე-51 დღეა. მუშები მტკიცედ არიან. ერთმა ოსტატმა მუშებს სთხოვა კრების დანიშვნა მოსალაპარაკებლად, მაგრამ მუშებმა იცოდნენ, რომ ოსტატის განზრახვა იყო გაფიცვის ჩაშლა როგორმე, ამიტომ უარი შეუთვალეს.

◆ პეტერბურგის ფრანგ-რუსთა ქარხანაში გაიფიცნენ მექანიკური სახელოსნოს მუშები; მოთხოვნილებანი ეკონომიურია.

◆ ძველი და ახალი ლესნერის ქარხნებს საზღვაო უწყებისაგან 60 მილიონის სამუშაო აქვთ მიღებული. გაფიცვების გამო სამინისტრომ სამუშაოს შესრულების ვადა გაუგრძელა ქარხნებს.

◆ პალის თუჯის ქარხანაში გაფიცვა გათავდა 17 დღის შემდეგ. მუშების 12 მოთხოვნილებიდან მხოლოდ 4 დააკმაყოფილეს.

◆ პლესნისის ბრინჯაოს სახელოსნოს მუშებმა პატრონს წარუდგინეს შემდეგი მოთხოვნილებანი: 9 საათის სამუშაო დღე, ხოლო შაბათობით 8 საათის, 2) 6 საათიანი ზედმეტი სამუშაო დღე, 3) გაფიცვისთვის არავინ უნდა დაისაჯოს და სხ. —მუშები გაიფიცნენ, რადგან მათი მოთხოვნილებანი არ დააკმაყოფილეს.

ქართ. სასოფ.-სამ. საზოგ. საბჭოს კრება

ქ. ტფილისში ამა წლის 12 ივნისს ქართული სამეურნეო საზოგადოების საბჭომ დაადგინა გამართულის კოოპერატიული კურსები.

კურსები მოკლე ვადიანია და გაგრძელდება სულ ათს დღეს 15—25 ივლისამდის. კურსებზე წაკითხული იქნება ლექციები კოოპერაციის სხვადასხვა საკითხებზე, ხოლო უმთავრესი ყურადღება აქვს მიქცეული სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო კოოპერაციას.

ლექციებს წაიკითხავენ რუსულად და ქართულად. ლექტორებად მოწვეულნი არიან როგორც რუსეთის ცნობილი ლექტორები, ისე ადგილობრივი ლექტორებიც.

ლექციები განზრახულია სოფლის ინტელიგენციისთვის და უმთავრესად იმათთვის, ვინც ხელმძღვანელობს კოოპერატიულ დაწესებულებათ, ან ასეთ ხელმძღვანელობას აპირებს.

ამისათვის სამეურნეო საზოგადოება ეცდება სოფლიდან ჩამოსულ პირთ ყოველგვარი დახმარება გაუწიოს, რომ ტფილისში ცხოვრება ათი დღის განმავლობაში ძვირი არ დაუჯდეთ. ამათ შეეძლებათ უფასოდ მოსმენა ყველა ლექციებისა (გადახდებათ მხოლოდ საანგარიშო ბლანკებში ათი შაურიდან ერთ მანეთამდე). საზოგადოებას ნაშოვნი აქვს 40 კაცისათვის უფასო ბინა და საშუალება ექნება ამ 40 კაცს სასმელ-საჭმელი მიაწოდოს დღეში არა უძვირეს 30 კაპ. თითოს.

რადგანაც უფასო ბინის და შეღავათიან პირობებში საჭმელ-სასმელის მიმღებთა რიცხვი განსაზღვრულია, საზოგადოება სთხოვს კოოპერატიულ დაწესებულებათა გამგეობებს და იმ კერძო პირთ, ვინც სოფლიდან კურსებზე ჩამოსვლას მოისურვებს, შემოუთვალონ ეს საზოგადოებას (ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5, Грузинскому Обществу Сельскаго хозяйства) **არა უგვიანეს 1 ივლისისა.** თუ სოფლიდან ჩამოსულთა რიცხვი 40 კაცზე მეტი აღმოჩნდა, უფასო ბინაზე დგომის უპირატესობა მიეცემათ იმათ, ვისი განცხადებაც უფრო ადრე იქნება მიღებული.

კერძო მსმენელთათვის ყველა ლექციების მოსმენა ეღირება 2 მ.ნ. ან თითო ლექციისა (1—2 საათი) 20 კ.

პროგრამა კურსებისა:

1. კოოპერაციის განვითარება, 4 საათი (ქართულად) ლექტორი **სვ. რ. ვახვახიშვილი.** 2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, 8 12 საათი (რუსულად) ლექტორი **ა. ევდოკიმოვი.** 3. წვრილი კრედიტის დაწესებულებანი, 6—7 საათი (რუსულად) ლექტორი **ა. ა. ორლოვი.** 4. ანგარიშის და საქმის წარმოება წვრილი კრედიტის კოოპერატ. დაწესებულებებში—12 საათი (ქართულად) ლექტორი **კ. პ. კანდელაკი.** და **ა. მ. კახელაძე.** 5. მომხმარებელი საზოგადოებანი 5—6 საათი (რუსულად) ლექტორი **ა. ა. ორლოვი.** 6. კოოპერატიული მოძრაობა საქართველოში—4 საათი (ქართულად) ლექტორი **ი. გ. ქუთათელაძე** 7. ჩვენი ეკონომიური ცხოვრება და კოოპერაცია—3 საათი (ქართულად) ლექტორი **დავ. ვ. ვაჩნაძე.**

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

14 თიბათვე

უცხოეთი

სტამბოლი. მთავრობამ ნათლად დაინახა, რომ მაჰმუდ-შევკეთ-ფაშის მკვლელთა დასჯამ ხალხზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა, ამიტომ მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს ეს ცუდი შთაბეჭდილება გააქარწყლოს. გაზეთებს ამის შესახებ წერვა აღეკრძალათ; ღია ბარათები, რომელზედაც დასჯილთა სურათები იყო, პოლიციელებმა მაღაზიებიდან წაიღეს და გაყიდვა აკრძალეს. სამხედრო გუბერნატორმა განკარგულება გასცა, რათა გაზეთებმა არ დაბეჭდონ დასჯის შესახებ დაწვრილებითი ცნობები, აგრეთვე ის სიტყვები, რომელთაც მათ სასჯელის წინ წარმოთქვეს, რადგან ამ სიტყვებიდან ხალხი გაიგებს, თუ რა გულადად შეხვდნენ ისინი სიკვდილს. ერთი ოსმალური და ორი სომხური გაზეთი ამ დადგენილების დარღვევისათვის დაიჭირეს. დაშნაკცაკანების ორგანო „აზადამარტი“, რომელმაც პრესანსეს მოწოდება დაბეჭდა სულთანის მიმართ, სადაც სთხოვდა განაჩენზე ხელი არ მოეწერა, არ დაუკავებიათ, მიუხედავად იმისა, რომ ამავე გაზეთში დაბეჭდილი იყო ცხარე წერილი, რომელშიაც ოსმალეთის ახლანდელ მდგომარეობას საფრანგეთის რევოლიუციას ადარებდა. ასეთი საქციელი იმით არის გამოწვეული რომ მთავრობას ეშინიან „დაშნაკცაკანების“ უკმაყოფილებისა.

ლონდონი. გრეიმ პუანკარეს სადილი გაუმართა.

ცეტინიე. 12.000 ჩერნოგორიული სერბიელებს მიემხრნენ. სერბიელები აღტაცებით მიეგებნენ მათ.

პარიზი. პალატა განაგრძობს ჯარში სამწლით გაწვევის კანონ-პროექტის განხილვას. ბარტუმ სთქვა, რომ კანონ-პროექტი გამოწვეულია გერმანიის გაძლიერებით და მზადებით. მთავრობა შეუძლებლად სთვლის მიიღოს აქ კანონპროექტის საწინააღმდეგო პროექტები. ბარტუს მთავრობის პარტიამ ოვაციები გაუმართა.

შალონი. მფრინავი ფურნიე ჩამოვარდა 70 მეტრის სიმაღლიდან და სასიკვდილოდ დაშავდა.

რუსეთი.

შემახა. დაიწვა 78 დუქანი. ზარალი ნახევარ მილიონს უდრის.

ლოძი. გაფიცვის გამო დაიხურა ვიძევის სამანუფაქტურო ქარხანა.

ლოძი. გაიფიცა 2.500 კაცი შეილბეირის სამანუფაქტურო ქარხანისა.

მოსკოვი. გაიხსნა საერთაშორისო მიმოსვლის 8 კონფერენცია.

ადესა საქალაქო არჩევნების დროს საექსპედიციო კანტორაზე თავდასხმისათვის სასამართლომ დამნაშავედ იცნო ორი წესიერების დარღვევისათვის. ერთს მიუსაჯა— ერთი თვის, მეორეს—ორი კვირის დაპატიმრება:

ლოძი. როზენბლატის სააქციონერო სამანუფაქტურო ქარხანაში 2.5000 მუშა გაიფიცა შტეიერის ქარხანაში კი 500 კაცი. მექარხნეები ქარხნების დახურვას იმუქრებიან მუშებს.

არჩილ ჯორჯაძის ძეგლისათვის

ჩვენმა რედაქციამ მიიღო დღევანდლამდე . . . . 606 მ. 3 კ.

შემდეგ შემოვიდა კიდევ:

ვარშავაში მყოფ ქართველ სტუდენტებისაგან . . . . . 13 მ. 65 კ.

კნ. მარიამ ვახტანგის ასულის ჯამბაკურ-ორბელიანისაგან 90 მ. 50 კ.

სადგურ ევლახის ბუფეტის მოსამსახურეთა ერთი ჯგუფისაგან 9 მან.

ტფილისის ქართულ გიმნაზიის მე-VII და VIII კლასის მოწაფეებისაგან . . . . 20 მან.

მასწავლებელ წირქვაძის ოჯახში შეგროვილი . . . . . 37 მან.

მასწ. ალექს. მეფარიძისაგან 5 მან.

მღვდ. აღნიაშვილისაგან. 3 მან.

სადგ. უჯარაში მცხოვრებ ქართველებისაგან . . . . . . 14 მან.

სადმელიდან ფირცხელავასაგან. . . . . . . 2 მ. 5 კ.

ქ. ბათომიდან ი. ა. ტუღუშის მიერ შეგროვილი . . . . 26 მ. 55 კ.

სულ 826 მ. 78 კ.

შემოწირულება

ანასტასია წერეთლის მეუღლემ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას უძღვნა მემკვიდრეების სურვილისამებრ თვისი მეუღლის გიორგი ექვთიმეს ძის ბიბლიოთეკიდან 43 ნაბეჭდი რუსული და ქართული წიგნი, 132 სიგელ-გუჯარი და სხვა საბუთი და ხელთ-ნაწერი წიგნები: ა) „რიტორიკა მიხიტარისა“ (მხედრული) ანტონ კათალიკოსის თარგმანი, ბ) „რჩულის კანონი“ (ხუცური) ეფთვიმის თარგმანი, გ) „კითხვა-მიგება ათანასე ალექსანდრიელ ეპისკოპოსისა და შვიდნი ცოდვანი და შვიდნი კეთილნი წამალნი მათ სენთანი“ (ხუცური), გადაწერილია 1774 წ.,) ფსალმუნი დავითისნი ეტრატზე (ნუსხა ხუცური) თავი და ბოლო აკლია, ე) სიტყვის გებანი ჰურიათა, მაჰმადიანთა, ლათინთა, სომეხთა და სხვათა (მხედრული), ვ) ჩარ-დარვიშიანი (მხედრული), ზ) ბარამ გულიჯანიანი (მხედრული), ც) სამგზავრო გეოგრაფია, თარგმნილი რუსულიდან მეფის გიორგის ძის დავითის მიერ 1794 წ. (მხედრული), თ) ღეოღრაფია და ბუნებითი ისტორია ასურეთისა (მხედრული) ნათარგმნი ქართულად მდივნის ავთანდილ თუმანიშვილის მიერ, ი) თარგმანება გამოცხადებისა იოვანე მახარებელისა და სხვა (ხუცური), ია) ცხოვრება ღვთის-მშობლისა (მაქსიმე აღმსარებელისა) (ხუცური), იბ) „ველისარიონი“ რუსულიდან ქართულად ნათარგმნი არხიმანდრიტის გაიოსის მიერ 1787 წ. (მხედრული), იგ) ქადაგებანი უდაბნოს წინამძღვრის არქიმანდრიტის გიორგი კუხალაშვილისა (მხედრული), იდ) „ოქროს ალნაქვსი სამუილ რაბინ იუდიანისა რუსულიდან გადმოთარგმნილი თ. დიმიტრი ბაგრატიონის მიერ (მხედრული) რომონოზ ბერის გადაწერილი 1831 წ., იე) „მწერთა ისტორია“ (მხედრული) 1815 წ., ივ) ისტორია და გეოგრაფია ბატონიშვილის ვახუშტისა (მხედრული), იზ) დიალიგტიკა და პერი-არმენის წიგნი (მხედრული) ანტონ კათალიკოსისა, გადაწერილია 1782 წ., იც) ზნეობითი ანუ ყოფაქცევითი ფილოსოფია, წამება ქეთევან დედოფლისა ლექსად, სიბრძნე ბალავარისა, მითოლოგია და კალანდარა და ლერზმანა არაბულიდან და თათრულიდან ნათარგმნი (მხედრული), ით) ტიმოთეს მოგზაურობა (მხედრული), კ) საპოლიტიკო ტეატრი (მხედრული) და კა) კრებული სხვა და სხვა ლექსებისა და ნაწერებისა.

საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველებს.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება დაგვრთოთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ჟურნალ „განათლების“ რედაქტორს, ბ-ნ ლუარსაბ ბოცვაძეს, რომელიც უსასყიდლოდ უგზავნის ჩვენს სემინარიას „განათლების“ ჟურნალ ოთხ ეგზემპლარს და ამით ხელს გვიწყობს პედაგოგიური აზრების და იმ სკოლების მდგომარეობის შესწავლაში, სადაც მომავალში მოგვიხდება მოღვაწეობა.

ქუთაისის (ხონის) საოსტატო სემინარიის კურს-დამთავრებულნი.

ბატონო რედაქტორო! ამასთანავე გახლებთ 26 მან 55 კაპ. შეგროვილს ქ. ბათომში ჩემს ამხანაგებს და ნაცნობებში, დაუვიწყარ არჩილ ჯორჯაძის ძეგლის ფონდის გასაძლიერებლად და გთხოვთ გადასცეთ დანიშნულებისამებრ.

შემომწირველთა სია: სამი მანეთი— იოსებ ტუღუშმა, ორ-ორი მანეთი მოსე კვაჭანტირაძემ, და მელიქსედექ ნაჭყებიამ; თითო მანეთი: ჯედიდ-ბეგ ბეჟანიძემ. ალექსანდრე საბახტარაშვილმა, ქაიხოსრო სარიშვილმა, ირაკლი მეგრელიძემ, გრიგოლ ჯაშმა, მიხეილ სორიძემ, ანტონ იმნაძემ, ნოე ალუქვაძემ, ათ-ათი შაური: უსუფ-ეფენდი კასიძემ, სერგო ქელბაქიანმა, მიხაკო ებრალიძემ, ივანე გელაძემ, გრიგოლ გაგუამ, ნესტორ ცელაძემ, პავლე რატიანმა, რაჟდენ სანაძემ, ალექსანდრე სადრაძემ, ფარნა ჭიშკარიანმა, ერმილე კვაჭანტირაძემ, გიორგი მორჩილაძემ, ლევან ფირცხალავამ, ათანასე შარაძენიძემ, კოწია სითრიძემ, სარდიონ მგელაძემ, ივანე ღლონტმა, სერგო ჭელიძემ, არტემ გოგეშვილმა, გიორგი კალანდარიშვილმა, ისიხი მგელაძემ, სოლომონ ერქომაიშვილმა, ექვსი შაური—კლემენტი ჩხაიძემ, ხუთი შაური ენუქა სანაძემ; სულ 26 მან. 55 კაპ.

პატივისცემით **იოსებ ტუღუში.**

რედაქტორ-გამომცემელი ა. ჯუმბაძე.

ვინც გაციებულია და ჰსურს ფილტვების დასნეულება თავიდან აიცილოს, უნდა მიიღოს ხოლმე.
სიროლინ „როშ“.
ისყიდება აფთიაქებსა და ყველა საფეჩაქო მაღაზიაში.
მოიკითხეთ უსათუოდ სიროლინ „როშ“, თავისებურ ქარხნის გასახვევით.
მ. 66839 1629

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყების
1-ლი საპოლიტეხნიკო კურსები
პირველი ტეხნიკუმი
მიიღება თხოვნები შემოდგომის სემესტრისათვის. შესვლა შეიძლება: საარქიტექტურო, გზათა საინჟინრო, საელექტროტეხნიკო, სამექანიკო და სამიწათ-მოქმედო განყოფილებებზე. მიიღებენ ყველას, ვისაც დაბალი სასწავლებელი გაუთავებია, სქესის განურჩევლად. გასული წლის განმავლობაში მოწაფეთა რიცხვმა საკმაოდ იმატა. 1000-დე კაცი სწავლობდა საუკეთესო მასწავლებელნი. ვერცხლის დიდი მედალი, კურსების ამოსწავლო სახელმძღვანელოების კარგად მოწყობისათვის.
ყველა კურს-დამთავრებული, 400 კაცი, კარგად მოეწყო სხვა და სხვა დაწესებულებებში და კარგ ჯამაგირსაც იღებენ.
ყველა, ვინც სამიწათ-მზომელო განყოფილებას ათავებს, ინიშნება სამიწათ-მზომელო უწყებისაგან მიწის მზომელთა თანაშემწედ მიწის მომწყობ კომისიებში. წელიწადში 600 მან. ენიშნება ჯამაგირად, გარდა [illegible] შემოსავლისა პროექტი იგზავნება 5 ორ-კაპეიკიან მარკით. კურსებთან არსებობს **შოფერთა სკოლა.** (პროსპექტი უფასოდ.
6 წელიწადია არსებობს
С.-Петербургъ, Б. ГУЖЕНАЯ, 6.
Метцль. 88470 352.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ბაგასაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. ვ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
1004

პარიჟის სულ მთელად ახალი ფასონები
კორსეტებისა
ვენის საკორსეტო ელექტრონის ხელოსნისა
მ. ა. ლევინე
ტფილისი, ველიკო დიდი და სოლოლაკის ქ კუთხე. 1168.

გონორრეის (სუსუნაკის) წინააღმდეგ უახლესი საშუალება:
„SALO—პიჩილინ“.
სწრაფად და არსებითად მოქმედებს და, ექიმთა აზრით, გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფებით და ღირს 1 მ და 1 მ. 80 კ.
აგრეთვე კარგად მოქმედებს შეტად გართულებულ და დაძველებულ ავადმყოფობის დროს და სულ მოკლე ხანში სპობს უწყვეტელ მდინარეობას.
დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Б. Конгейма. იგზავნება ფასდადებით. გასაგზანი ფოსტის ტარიფის მიხედვით. იშოვება საფთიაქო საქონლის კავკასიის საზოგადოების სავაჭროში.
Метцль 2 238. 1038

თელავში
კახეთის რკინის გზის ახლო იყიდება:
ვენახები, სასახლე და სახნავი მიწები და გაუტეხავი ტყე.
მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ფოტოგრაფს ივ. ზ. ბარკალაიას ქ. თელავში. 1216

მასწავლებელი
ს. ა. გრიაზნოვი
ამზადებს გიმნაზიისა, კომერციულისა და სამიწისმზომელო სასწავლებლ., საოსტატო ინსტიტუტისა და აფთიაქის შეგირდად, განმეორებითი გამოცდისათვის. მსურველთ მიიღებს [illegible] პანსიონზე.
ვერა, იზმაილოვის მიხვევი, ბელინსკის ქუჩიდან სახლი 6, ბინა 8 325

СТОЛОВОЕ ВИНО
Юбилейное
300
Т/д. БР. СЕСІЕВЫ и К°
ВЪ ТИФЛИСЬ

1078

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„მამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ცინკოგრაფია წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ კლიშეების დამზადებას
საქმეს აბარებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდომ ფასად.
ტფილისი: ბანკის დიდი ქუჩა, № 12. Тифлисъ Бол. Банк. ул. № 12.
1009



მიტროფანე ლაღიძის და ამხ.
ფრიად სასიამოვნო სასმელი და ჯანმრთე-
ლობისათვის მარგე- ბული სასმური გემო-
სი და სურნელების ხილეული,
სამკურნალო და მინერალური
წყალი
მზადდება საუკეთესო ხილეულის წვნისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად განწმენდილ მასალებისაგან, გამოხდილ და ნადუღი წყალით
გამოცდილ სპეციალისტის ხელმძღვანელობით.
რადგანაც ჩვენი ქარხნის წყალის ნაცვლად ხშირად დაბალ ღირსების წყალს აწვდიან პატივცემულ საზოგადოებას და აგრეთვე გავრცელებულია ჩვენი ეტიკეტის მიმსგავსებანი უმორჩილესად ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას, ყურადღება მიაქციოს ბოთლებზე ჩვენს ეტიკეტს ქარხნის ნიშნით და აგრეთვე თავსაცობს ზედ-წარწერით:
„М. ЛАГИДЗЕ“.
ქარხნები: ტფილისში, გოლოვ. პროსპ., № 6, ტელეფონი № 411;
ქუთაისში, პუშკინის ქუჩა, № 5, ტელეფონი № 151.
1214

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძებველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ სახ. № 9.
ტელეფონი № 712.
ახალ-ახალი
მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
ახალი მსხვილ-მარცვლოვანი
ხიზილალა (ქიტკა).
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დოში, იანი, ჭიპა, ზურგიელები, სხვა ყოველ-ნაირი თევზეულობა და
კონსერვები.

ტფ-ლისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“